# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№20 (1530) 3–6 მარტი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონ ვარდიკო ნადიბაიძისგან პასუხების არგაცემის გამო ნაცვლად რუბრიკისა – „ვინ იყო ვინ?" „მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისთვის" – შეპირებისამებრ გთავაზობთ ახალ რუბრიკას –

## პასუხგაუცემელი კითხვები, ანუ როცა სილაჩრე ცხადდება გონიერებად

ბატონი ვარდიკოსთვის დასმული პირველი კითხვა იყო – *„ბატონო ვარდიკო, ბოლოს და ბოლოს, როდის გაეცემა პასუხი კითხვას: რატომ მსახურობს საქართველოს თავდაცვის მინისტრის შვილი უცხო ქვეყნის არმიაში?"*

ადრესატისაგან პასუხგაუცემელ ამ კითხვაზე საუბარს იწყებს ბატონი **აკაკი ბაქრაძე** წერილით:

## ვასალური აზროვნება

მეორე გვერდი

## ირინა სარიშვილი-ჭანტურია: ჯაბა იოსელიანს საკუთარი ცოდვები იმდენი აქვს, მგონი, ამის მიწერა ცოტა არასერიოზულიც იქნებოდა...

მესამე გვერდი

### XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

### არაორდინალური რეკლამა

„განდეგილის" მწყემსი ქალის ხმაზე

ნუთუ სკოლაში არვინ დაგიდის
ან და,
ანუ ძმა,
ან ნათესავი?
ან შვილი არ გყავს
ან შვილიშვილი
და თუ გყავს –
ცოდნით უსკდებათ თავი?
მოვა ზაფხული
და გამოცდისთვის
ნაცნობს თუ უცნობს
ნიშანს რომ ვედრი,
აგერ გაზეთი
და წააკითხე,
ან წაუკითხე

მეხუთე გვერდი!

## საზოგადოება არ გაყოფილა და კონფლიქტის გარეშეა თავსმოხვეული

მესამე გვერდი

## დაიწყო უპრეცენდენტო აქცია – შიმშილობენ პარლამენტის დეპუტატები!

გუშინ, 18 საათსა და 30 წუთზე, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის ძველ შენობაში, შიმშილობის აქცია დაიწყო საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის" დეპუტატთა ჯგუფმა. მოშიმშილეთა მთავარი მოთხოვნაა: „გაიყვანეთ ე.წ. სამშვიდობო ძალები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან".

აქციის შესაძლო დაწყების შესახებ ქალაქში ხმები ადრევე დაირხა და, ბუნებრივია, შესაბამისი რეაქციაც უძღოდა წინ, როგორც მოსახლეობის, ასევე ხელისუფალთა მხრივ. ჩვენ განსაკუთრებით გვაოცებს ამ უკანასკნელთა მეტისმეტი შეწუხება–შეშფოთება აქციის შესაძლო შედეგების გაზვიადების გამო. არადა აქცია საერთო–სახალხო, თუ გნებავთ, საქვეყნო მოთხოვნას აყენებს და აქ ყველანი ერთსულოვანნი უნდა ვიყოთ. მტერს, ეტყობა, ისევ უნდა დაგვყოს ჩვენიანებად და სხვისიანებად, ჩამოსულებად და ქალაქელებად.

ახლა მთავარია აქცია არ იქნეს გამოყენებული პროვოკატორთა მიერ და ბოლომდე დარჩეს ძალაში ის ძირითადი მოთხოვნა, რის გამოც დეპუტატებმა შიმშილობა დაიწყეს.

## იგორ როდიონოვის ვიზიტი გაურკვეველი ვადით გადაიდო

საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს სარწმუნო წყარომ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობა, რომ თბილისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოწვევით მართლაც იყო დაგეგმილი რფ-ის თავდაცვის მინისტრის იგორ როდიონოვის ვიზიტი, რომელიც შემდეგ სომხეთში უნდა გაგრძელებულიყო. აღნიშნული ვიზიტი გადაიდო, ვინაიდან ქართული მხარე მოითხოვდა, რომ ვიზიტს კონკრეტული შედეგი მოჰყოლოდა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით. ვინაიდან რუსეთის მხარემ საქართველოს მხარეს ჯერჯერობით ამგვარი გარანტია ვერ მისცა, იგორ როდიონოვის ვიზიტი გადაიდო როგორც საქართველოში, ასევე სომხეთშიც. თუმცა, მზადება ამ ვიზიტისათვის კვლავ გრძელდება და რუსეთის თავდაცვის მინისტრის ჩამოსვლისას განიხილება საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რფ-ის ბაზებისა და საქართველო – რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის საკითხები. (იბერია)

## ლივიუ ბოტას შეხვედრა არძინბასთან და ოზგანთან

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მყოფი გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა ხელმძღვანელი ლივიუ ბოტა შეხვდა აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრს კონსტანტინე ოზგანს და აფხაზეთის „პრეზიდენტს" ვლადისლავ არძინბას. აფხაზ სეპარატისტთა საინფორმაციო სამსახურების ოფიციალური ცნობით, ორივე მხარემ დაგმო გალის რაიონში ქართველი ტერორისტების მიერ რუსეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ განხორციელებული დივერსიული აქტები. (იბერია)

სპრინტ-ლატარია „სიურპრიზ – მეორე არხის" მეორე ტირაჟის ოთხივე ტური.

მერვე გვერდი

## პასუხგაუცემელი კითხვები, ანუ როცა სილაჩრე ცხადდება გმირობად

19 მწარე შეკითხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს

კითხვა I: ბატონო ვარდიკო, ბოლოს და ბოლოს, როდის გაეცემა პასუხი კითხვას: რატომ მსახურობს საქართველოს თავდაცვის მინისტრის შვილი უცხო ქვეყნის არმიაში?

# ვასალური აზროვნება

**აკაკი ბაქრაძე**

უკანასკნელი ათიოდე წლის მანძილზე საქართველოში დიდი მოვლენები მოხდა. ამ მოვლენებს დადებითი შედეგებიც მოჰყვა და უარყოფითიც. ამჯერად დადებით მხარეზე არაფერს ვიტყვი. ყურადღებას მხოლოდ უარყოფითზე გავამახვილებ, რადგან მის ალმოფხვრაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს ბედ-იღბალი მომავალში.

ახლა ამ მოვლენათა ბევრი მონაწილე და მოწმე წერს და ლაპარაკობს – რა როგორ ხდებოდა, რატომ და რისთვის. ვეძებთ მტყუანსა და მართალს. უდაოა, მტყუანისა და მართლის დადგენა საჭიროა, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი იმის მიგნებაა – ქართველის სულიერი წყობის რა მანკიერი თვისება იწვევს საქართველოს პერმანენტულ დამარცხებას.

ჩვენ თვალწინ მოხდა, ჩვენ ვიყავით უშუალო მოწმე იმისა, რომ ჩვენზე გაცილებით მცირერიცხოვანმა ხალხმა – ჩეჩნებმა – ბრძოლით, იარაღით როგორ დაამარცხა რუსეთი და ჩეჩნეთიდან განდევნა. რატომ ვერ შევძელით ჩვენ ის, რაც ჩეჩნებმა შესძლეს? როგორ გვაჯობა მტერმა, წაგვართვა აფხაზეთი და შიდა ქართლი? ჩვენ ხომ უკვე 1921 წლიდან ვიცოდით, რომ, თუ საქართველო დამოუკიდებლობას დააპირებდა, რუსეთი მაშინვე წაგვგლეჯდა აფხაზეთსა და შიდა ქართლს? ამას, დოკუმენტების გარდა, ის მუქარაც ადასტურებს, რომლითაც ლევ ტროცკი საქართველოს უქნევდა თითს 20–იან წლებში – თუ საქართველოს დატოვება დაგვჭირდა, კარებს ისე გავიჯახუნებთ, ქვა ქვაზე აღარ დარჩებაო („ქართული აზრი", 1971 წ. №87). ეს მუქარა რუსეთმა, აკად. სახაროვის პირით, 80–იანი წლების ბოლოსაც გაიმეორა, საქართველო მცირე იმპერიაა და იგი უნდა დაიშალოსო. ვიცოდით ყველაფერი ეს და მაინც თავდაცვა ვერ მოვახერხეთ. რატომ?

მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში" გენერალი და პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს ეუბნება:

„ – ხელი აიღეთ. შესაძლებელია რუსები გავრეკოთ, მაგრამ ვერ შევიმაგრებთ და ისევ შემოვლენ, ისევ ჩვენს თავადებს მოისყიდიან, ჩვენსავე მამულებს დაურიგებენ და ჩვენივე ხელით დაგვიმორჩილებენ. ეს აჯანყება უკანასკნელი გაფრთხილება იქნება ჩამოხრჩობილი ხალხისა".

როცა მიხეილ ჯავახიშვილი წერდა – „ჩვენივე ხელით დაგვიმორჩილებენო", – მარტო იმას არ გულისხმობდა, რაც განათლებით, ისტორიის შესწავლით იცოდა, არამედ იმასაც, რისი მომსწრეც და მხილველიც თავად იყო. 1921 წლის თებერვალ–მარტში, როცა რუსეთმა საქართველო ხელმეორედ დაიპყრო, კარგად მოგეხსენებათ, ოკუპანტი წითელი არმიის არა მარტო მეთაურთა შორის იყვნენ ქართველები მრავლად, არამედ ჯარისკაცთა შორისაც.ისევე მოხდა, როგორც წარსულში ხდებოდა. საქართველოს დასარბევად და ასაწიოკებლად გამოგზავნილ სპარსეთისა და თურქეთის ჯარს უმრავლესჯერ გამაჰმადიანებული ქართველები და სომხები სარდლობდნენ. ისლამმიღებულ ბატონებს არც მათი ყმები ჩამორჩებოდნენ და თავგამეტებული იქნევდნენ ხმლებს ნახევარმთვარისა და მწვანე დროშის გასამარჯვებლად. ეს გაყოფა, ნაწილი აქეთ და ნაწილი იქით, საქართველოს გრძელ ისტორიას წითელ ხაზად გასდევს. იგი, ალბათ, იმის ბრალია, რომ თავისუფლებას სარგებლიანობის არშინით ვზომავდით. იმავე „არსენა მარაბდელში" ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში სტუმრად თავშეყრილ ქართველ თავადაზნაურობას პლატონ იოსელიანი უმტკიცებს: „ზოგი ეშმაკისკენ იყოს, ზოგიც – ღვთისკენო. რუსმა ლეკი და თათარი მოგვაშორა, რჯული შეგვინარჩუნა, იმერეთ–ამერეთი გააერთიანა, ევროპული განათლება მოგვიტანა და კანონი დაადგინა. ახლა ბრძანეთ, რა უფრო მეტია, წაგება თუ მოგება?" ამის საწინააღმდეგო პასუხი არავის აღმოაჩნდა იქ მყოფთაგან, ალექსანდრე ორბელიანსაც კი, ვისაც ყველაზე გამოკვეთილი ანტირუსული პოზიცია ეჭირა. თუ თავისუფლება აბსოლუტურ ღირებულებად არ მიგაჩნია და მას წაგება–მოგების, სარგებლიანობის კუთხით უყურებ, მაშინ, ცხადია, პლატონ იოსელიანს ვერ შეედავები.

იმ შეხედულებას, რაც რომანში პლატონ იოსელიანის პირით ითქვა, წარსულშიც მრავლად ჰყავდა მომხრე და არც დღეს აკლია. ამას ამჟამინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიც ადასტურებენ და რუსეთში გახიზნული მოქალაქენიც, სულერთია, იქნებიან ისინი გეშეფტმახერები, ხელოვნების კულტის მსახურნი თუ ნაირნაირ უწყება–დაწესებულებებში შემძვრალ-შეპარული ჩინოვნიკები. როგორც კვაჭი კვაჭანტირაძეს უყვარდა „საქმის გაიმასქნება", ისინიც წარმატებით „აიმასქნებენ საქმეს". კვაჭის ანდერძსაც წამდაუწუმ იმეორებენ – „რას ჩაცივდით ერთ მტკაველ საქართველოს, ერთ მუჭა ხალხს!.. გადაჰხედეთ დიდ რუსეთს, მსოფლიოს მეექვსედია, ორას მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი და ხალისი გაქვთ, ფრთები გაშალეთ და ამ ულეველ სივრცეში ინავარდეთ".

კვაჭი კვაჭანტირაძე ქართულ ნიჰილიზმს კარიკატურული ფორმით გამოხატავს. ქართული ნიჰილიზმი მარტო კარიკატურის საგანი რომ იყოს, მაშინ იგი შედარებით ადვილი დასაძლევი იქნებოდა. ჩვენდა სავალალოდ, მას მყარი და გრძელი ფესვები აქვს და, ამასთან ერთად, ჩვენი ვასალური აზროვნების ნაყოფია. ცნება – ვასალური აზროვნება – მარტო იმ პერიოდში ჩამოყალიბებულ აზროვნებას არ გულისხმობს, როცა ქართულმა სამეფო კარმა მფარველისა და თავშესაფრის ძებნა დაიწყო, არამედ ბევრად უფრო ადრინდელსაც. სამაგალითოდ „ქართლის ცხოვრებას" მოვიშველიებ, განსაკუთრებით მის იმ ნაწილს, რომლის ავტორად ლეონტი მროველი ითვლება.

„ქართლის ცხოვრება" ოფიციალური წიგნია. იგი საქართველოს სამეფო კარის იდეოლოგიას გამოხატავს. მაგრამ ბევრჯერ ისეთ მოსაზრებას შეხვდებით, რომელსაც პირადად მე ახსნას ვერ ვუძებნი. ვერც ჩვენს მეცნიერ–ისტორიკოსთა ნაშრომებში იპოვნით მეტ–ნაკლებად დამაჯერებელ განმარტებას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ისინი წარმოქმნილნი არიან ვასალური აზროვნების ნიადაგზე. კერძოდ რას ვგულისხმობ?

ყველას კარგად მოეხსენება, რომ მემატიანე ლეონტი მროველი კავკასიის ხალხებს ძმებად მიიჩნევს და მათ მამამთავრად თარგამოსს თვლის. ყველა კავკასიელი ხალხი ამ თარგამოსის შვილია. ძმებს შორის უფროსი ჰაოსია, ანუ სომეხთა თავურწინაპარი. ყველა ძმა გმირია, მაგრამ „ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა". ამის მერე იწყება ჰაოსის უნაპირო ქება–დიდება.

„ამათ შუიდთავე გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალი ჰაოსს".

„ჰაოს ჰყო თავი თვისი მეფედ ძმათა თჳისთა ზედა".

„იყვნეს მორჩილ ჰაოსისა".

ჰაოსმა ასწავლა ძმებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. მას ეკუთვნის, მან შთააგონა ყველას ის დევიზი, რომელსაც ხშირად იმეორებენ ქართულ პოეზიაში.

„აწ შეწევნითა დამბადებლისათა ვიყვნეთ არავის მონა და არავის ვმსახუროთ თჳნიერ ღმრთისა დამბადებლისა".

რას ნიშნავს ეს? რატომ აქვს ქართულ მატიანეში ასეთი უპირატესობა მინიჭებული სომეხ ხალხს? ეს ხომ მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობის გამომხატველი არ არის. ცხადია, მას უფრო ღრმა შინაარსი აქვს, მაგრამ რა? როგორც გითხარით, მე ვერ ვუძებნი მას სხვა საფუძველს, გარდა ვასალური აზროვნებისა.

ლეონტი მროველი აგრძელებს და გვეუბნება – „აქომამდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს".

რას ნიშნავს „აქამომდის"? მანამდე, სანამ ნაბუქოდონოსორ მეფე იერუსალიმს აოხრებდა, ლტოლვილი ებრაელები მცხეთაში მოვიდოდნენ და მცხეთის მამასახლისი მათ ხარკში დაასახლებდა. ეს ამბავი კი ძველი წელთაღრიცხვით 605–562 წლებში უნდა მომხდარიყო. რაკი, მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ ამ ხანებში მეფობდა ნაბუქოდონოსორ მეორე, რომელმაც წარტყვევნა იერუსალიმი და დაატყვევნა ებრაელნი. მაშასადამე, ამ დიდი მოვლენის შემდეგ დაუწყიათ ქართველებს ქართულად მეტყველება, თორემ მანამდე თურმე სომხურად ლაპარაკობდნენ. „...ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური. და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული".

რასაც ქართველი მემატიანე ამბობს, ის მეცნიერული თვალსაზრისით სრული გაუგებრობაა, უფრო მკაცრი სიტყვა რომ არ ვიხმარო. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის, რომ ხალხს ჯერ ერთ ენაზე ელაპარაკოს და მერე მეორე ენაზე ამეტყველებულიყოს. ისტორიამ იცის, რამდენიც გნებავთ, ხალხისა და ენის გაქრობა–მოსპობა, ხალხის სრული ასიმილაცია, მაგრამ ენის გამოცვლისა – არა. შეიძლება ენა განვითარდეს და ამის გამო ნაწილობრივ სახეც იცვალოს. მაგალითად, ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და საფუძვლიანადაც, მაგრამ ორივე ბერძნული ენაა, თავისი ბუნებით, არსით, თვისებით. სომხური და ქართული ენები სწორედ თავისი ბუნებით, არსითა და თვისებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თორემ ლექსიკურ მარაგში როგორც ერთ, ისე მეორე ენაში უამრავ ბერძნულ, არაბულ, სპარსულ სიტყვას იპოვნით. ეს ბუნებრივი ამბავია. ენები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. სიტყვები მოგზაურობენ ენიდან ენაში. რამდენი ფრანგული და გერმანული სიტყვაა რუსულში, მაგრამ რუსული რუსულია, ფრანგული ფრანგულია, გერმანული გერმანულია, რადგან ბუნება, არსი და თვისება მათი განსხვავებულია.

ისტორიას რომ იხსენებ, ბუნებრივად გაწვალებს კითხვა – რაღა მარტო საქართველოში მოხდა ის, რაც არსად მომხდარა? რაღა მარტო ქართველ ხალხს მოუვიდა ის, რაც არცერთ სხვა ხალხს არ მოსვლია? რატომ წერს ასეთ გაუგებრობას ქართველი მემატიანე? ეს კითხვები მხოლოდ ისტორიული კვლევის საგანი არ არის. ისინი ოდენ ისტორიკოსს ან ენათმეცნიერს არ უნდა აწუხებდნენ. ეს ყველას უნდა აფიქრებდეს. ამაში ქართული ცნობიერების ხარვეზი, ნაკლი მოჩანს და იმიტომ. თუ ამ ძველთაძველ კითხვებზე პასუხს ვიპოვნით, შეიძლება, დღევანდელი მოვლენებიც უფრო ზუსტად ამოვხსნათ. ისტორიის ჯაჭვი არ წყდება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ისტორიულ პროცესს ერის თვისება–ხასიათის კუთხით ვუყურებთ. ქართველი თავისი ბუნება–თვისებით, ხასიათით ისეთივეა, როგორიც წარსულში იყო. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს წარსული ძალიან შორეულია თუ შედარებით ახლობელი.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტისაგან

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის რამდენიმე წევრმა (თ.პაატაშვილი, თ.დიხამინჯია, მ.კვანჭილაშვილი, ა.ლოლაძე, ი.მელაშვილი, მ.ურიდია, ლ.შევარდნაძე) ხელი მოაწერა ტექსტს „მცხეთური მანიფესტის" სახელწოდებით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„საქართველოს ფედერაციის სუბიექტები შეიძლება იყვნენ რესპუბლიკები და ფედერალური ოლქები. ფედერაცია წარმოადგენს ერთიან სუვერენულ სახელმწიფოს – საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს. იგი იქმნება არსებული კონსტიტუციის საფუძველზე, რომლის ორგანული ნაწილი უნდა იყოს თავი ფედერაციის სუბიექტების სტატუსის შესახებ. კონსტიტუციას ხელს აწერენ ფედერაციის სუბიექტების სრულუფლებიანი წარმომადგენლები. გარკვეული, კონსტიტუციით დადგენილი, ვადის გასვლის შემდეგ რესპუბლიკებს უფლება აქვთ დასვან სტატუსის შეცვლის შესახებ რეფერენდუმის მოწყობის საკითხი. იგულისხმება, რომ რესპუბლიკებს ექნებათ საკუთარი კონსტიტუციები და კანონმდებლობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება შესაბამის ფედერალურ კანონმდებლობას, ეყოლებათ პარლამენტები – და შეიძლება ჰყავდეთ არჩეული პრეზიდენტები. ყველა დონის არჩევნებს უნდა უსწრებდეს ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. ფედერალურ ოლქებს ეყოლებათ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოები და ადმინისტრაცია. ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე აირჩევა ფედერალური პრეზიდენტი და პროპორციული წესით ფედერალური პარლამენტის ყველა პალატა. სენატი (ზედა პალატა) კომპლექტდება ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლებით (შესაბამისი ქვოტებით)...

გარდა იმისა, რომ ასეთი მოდელით ხდება დათმობათა ბოლო ზღუდის აუცილებელი ფიქსაცია, მას ორი დამატებითი უპირატესობაც გააჩნია:

ა) იგი გვიბიძგებს ეროვნული ენერგიის მაქსიმალური მობილიზებისკენ იმ მიზნით, რომ გარკვეულ ვადებში შევქმნათ სახელმწიფო, რომელსაც დაშლა აღარ დაემუქრება.

ბ) იგი შეიძლება იქცეს მაგალითად მთელი რეგიონისათვის და ხელი შეუწყოს გაერთიანებულ ევროპაზე ორიენტირებული ინტეგრირებული კავკასიის შექმნას. ასეთი კავკასიისათვის საშიში აღარ იქნება არანაირი პოლიტიკური კატაკლიზმები.

მოვუწოდებთ რა ხელისუფლებას, შეავსოს კონსტიტუციური ვაკუუმი და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი, *ჩვენ, ჩვენის მხრივ, ვეცდებით დავამყაროთ საჭირო კონტაქტები ყველა იმ ძალასთან, რომელთაც პრობლემის გადაჭრაში კონსტრუქციული წვლილის შეტანა შეუძლიათ. ამგვარი კონტაქტები საძიებელია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მთელ კავკასიაში, რუსეთში და დასავლეთშიც*". (ხაზი ყველგან ჩვენია, ეროვნული კომიტეტი)

ციტირებული ტექსტის ხელმოწერა ვერ აიხსნება მხოლოდ ხელმომწერთა ჩაუხედაობით საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის არსში, ვინაიდან მთავარი არგუმენტი საქართველოს მთლიანი ფედერალიზაციის გეგმის წინააღმდეგ, სახელდობრ, ის, რომ მისი განხორციელება პირდაპირი გზაა არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის ნგრევისკენ, არამედ *ქართული ეროვნული ცნობიერების ერთიანობის რღვევისკენაც უახლესი ორი-სამი თაობის მანძილზე* – ცნობილია პარტიისათვის, რომლის წევრებიც ზემოხსენებული პირები არიან. გეგმა, რომ „ფედერაციის" სუბიექტად მყოფმა რესპუბლიკებმა შემდგომში დასვან საკითხი თავისი სტატუსის შეცვლის თაობაზე რეფერენდუმის მოწყობის გზით, აშკარად გზას უხსნის საქართველოში ახალი იურიდიული დავის წარმოქმნას ფედერაციის სუბიექტთა შორის. ხოლო ტექსტის უკანასკნელი ხაზგასმული სიტყვები იმაზე მეტყველებენ, რომ ხელისმომწერთ განზრახული აქვთ საქართველოს შინაგანი პრობლემების გადაჭრაში უცხო ფაქტორების, მათ შორის – საქართველოს მთლიანობისადმი აშკარად ნეგატიურად განწყობილი ძალის (რუსეთის) ჩაბმა.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ კომიტეტს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული ანტისახელმწიფოებრივი პოზიციის გამომხატველი დოკუმენტის ხელმოწერა პოლიტიკური უპრინციპობის მაჩვენებელია და, ამდენად, შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი

ნ.ნათაძე
კომიტეტის თავმჯდომარე
შ.ნადირაშვილი
პოლიტ.მდივანი
ნ.ბრიგალაშვილი
ორგანიზაციული მდივანი

# ირინა სარიშვილი-ჭანტურია: ჯაბა იოსელიანს საკუთარი ცოდვები იმდენი აქვს, მგონი, ამის მიწერა ცოტა არასერიოზულიც იქნებოდა...



*– პარლამენტმა დიდი წვალებით მიიღო ბიუჯეტი. შეცვლის თუ არა იგი ქვეყნის მდგომარეობას?*

– ახლა ნუღარ ვილაპარაკებთ, ბიუჯეტი კარგია თუ ცუდი. ჩვენი აზრით, ეს ბიუჯეტი მისაღები არ იყო. ბიუჯეტი არის ერთ-ერთი კანონი, კონსტიტუციის შემდეგ, ალბათ, პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი. კანონი მაშინ ცვლის ცხოვრებას, როდესაც ის სრულდება. ამიტომ ჩვენ შემთხვევით არ დაგვიკავშირებია ამ უვარგისი ბიუჯეტის საკითხი მთავრობასთან, ანუ იმ ხალხთან, ვინც ეს ბიუჯეტი უნდა შეასრულოს. ბოლო წლების განმავლობაში მისი შესრულების არცერთი მაგალითი არ გვქონია. თუ გაგრძელდა იგივე საკადრო და სტრუქტურული პოლიტიკა, ნაკლებად მოველი, რომ ამდენი საველე გადაიქცეს პაველედ.

*– დღეს ფართოდ გაშლას იწყებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. როგორ გგონიათ, იგი რეალურად განხორციელდება, თუ ლოზუნგად დარჩება?*

– თავიდანვე საქმე იქამდე არ უნდა მივიდეს, რომ სახელმწიფოს პირველ პირს მოუწიოს ამ ბრძოლის გამოცხადება. კამპანიური ბრძოლისას, რაც „მხედრიონის" მაგალითზეც ენახეთ, იჭყლიტება ძალიან ბევრი დაუცველი ადამიანი, რაც მათზე ფსიქოლოგიურ სტრესს ახდენს. დასაწყის ეტაპზე იგი შიშს ბადებს უდანაშაულო ადამიანებში, ვიდრე მათში, ვისაც დანაშაულებრივი გზით რაღაცა აქვს მოპოვებული. დღევანდელ ვითარებაში ამას არ შეიძლება გრძელვადიანი სახე ჰქონდეს, რაც მერე ძალიან ცუდ შედეგებს მოიტანს. ამიტომ არ არის საჭირო მისი გამომზეურება ან რაუნდებად დაყოფა, როგორც ეს ერთხელ შინაგან საქმეთა სამინისტრომ „მხედრიონის" მიმართ გააკეთა. ნორმალურ ქვეყანაში ქურდს, მკვლელს, მაფიოზს ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე სჯიან. ამისთვის აღლუმების ჩატარება საჭირო არ არის – ნახეთ რა მაგრები ვართ, აი როგორ დავიჭირეთ ერთი, ან გაუსწორდით მეორესო. კომიკური სიტუაცია იქმნება მაშინ, როდესაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სათავე საპარლამენტო უმრავლესობის ხელშია. ასეთი რამ არცერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება, ვინაიდან ანალოგიური კომისიები ყოველთვის ოპოზიციას აქვს. სხვა შემთხვევაში ის აზრს კარგავს. კორუფციაზე როცა ვსაუბრობთ უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში, მოქალაქეთა კავშირს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ვინმეს ნაკლებად აინტერესებს ვინმე მინისტრი ფორმალურად არის თუ არა მოქალაქეთა კავშირის წევრი. ყველა მათი ორგანიზაციის თავმჯდომარის დანიშნული და ამ საპარლამენტო უმრავლესობის დამტკიცებულია. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს პასუხისმგებლობის სწორი გაგება. უმრავლესობა პასუხისმგებელია საკუთარი ორგანიზაციის თავმჯდომარის წინაშე. ამიტომ მათთან სწორი იყო პრეზიდენტი, როდესაც მან მინისტრების დაცვა მოსთხოვა. თუ ადამიანს რადიკალურად ეცვლება აზრი, მაშინ მან უნდა დატოვოს ეს ორგანიზაცია და გადავიდეს უფრო მისაღებ თანამოაზრეთა მხარეს. გამოვა თუ არა რაიმე ამ ბრძოლიდან? ჯერჯერობით ხმამაღლა მხოლოდ ყოფილთა სახელები ისმის და დღევანდელზე არავინ არ ლაპარაკობს. უმრავლესობამ როგორც კი გადაწყვიტა ხმის ამოღება ფინანსთა მინისტრისადმი, პრეზიდენტმა ეს პრაქტიკულად ჩაახშო, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარემ კი დაიცვა. ისიც კარგი მინისტრი გამოვიდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოფილებზე საგამოძიებო სტრუქტურებმა უნდა იმუშაონ და საპარლამენტო კომისიასთან არავითარ კავშირში არ არის. ჩვენი პოზიციით, კორუფციის ყველაზე საშიში კერებია შინაგან საქმეთა, უშიშროების, ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროები. ძალიან საინტერესოა გაირკვეს პროკურატურის მოქმედება. როგორც ადრე არ იღებდა ხმას და ხელს აფარებდა იქ უხვად დაგროვილ მასალებს, იგივეს აკეთებს დღესაც.ამიტომ გასარკვევია მიზეზი – ეს არის უპრინციპობა, რომელიც იგივე დანაშაულია თანამდებობის პირის მხრიდან, თუ აქ გარიგებაა – მსგავსი შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროთა მხრიდან და ა.შ. იმდენად, რამდენადაც დღეს ქვეყანას ეს მინისტრები, და საერთოდ მთავრობა არ მართავს. მათი საშუალებით კი მართავენ არასამთავრობო კლანები და სწორედ მათ მხილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ასეთ კლანებს იურიდიული ლაფსუსები არც ჰქონდეთ დაშვებული. ჩვენს მინისტრებზე შეგნებულად გადავეტეხთ ჯოხს, რომლებიც ამ კლანებს ემსახურებიან და პასუხსაც არ სთხოვენ. რაც შეეხება არასამთავრობო კლანებს, პრეზიდენტმაც და ყველამ მშვენიერად იცის, რომ რომელი გვარით, ან ნიშნით არიან შეკრულნი, განსაკუთრებით კი თბილისში, საიდანაც ხდება მართვა. მათი დაშოშმინება პირველ რიგში პრეზიდენტის ინტერესებში უნდა შედიოდეს, ვინაიდან ისინი დისკრედიტაციას უწევენ პრეზიდენტის სახელს გვარიდან, ნათესაური კავშირებიდან გამომდინარე და ა.შ.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო მთავრობას კი არა, ყველა ფენას უნდა შეეხებოდეს. უბედურება იმაშია, რომ თუ კომისია უმრავლესობის ხელში დარჩება, მაშინ მან პროფილი უნდა შეიცვალოს – პრაქტიკული მოღვაწეობით აღარ უნდა იყოს დაკავებული და კორუფციის საკითხები მხოლოდ სტრუქტურულ დონეზე განიხილოს. აი, რას ვგულისხმობ. თუ შემოდის რაიმე კანონის პროექტი, ამ კომისიაში ექსპერტიზა უნდა გაიაროს, ხომ არ უწყობს იგი ხელს კორუფციის კერის ჩამოყალიბებას, ან კიდევ არსებული კანონების გადასინჯვას.

სხვა შემთხვევაში საკმარისია უმრავლესობა მაღალი თანამდებობის პირს შეეხოს, რომ პრეზიდენტის მხრივ ორგანიზაციული წინააღმდეგობა ექნება, რაც სწორია.

თუ კომისია დღევანდელი ვითარების მოსაულელად შევქმენით, ის არ შეიძლება იყოს იმ ორგანიზაციის ხელში, რომლის თავმჯდომარეც ნიშნავს ამ მინისტრებს. ოპოზიცია კი ამ შემთხვევაში გამომაფხიზლებელ როლს შეასრულებს. ასეა ყველა იმ ნორმალურ ქვეყანაში, რომლებსაც ვემსგავსებით.

*– თქვენ პროკურატურის მასალები ახსენეთ. კონკრეტულად ვის გულისხმობდით?*

– ჩემ მიერ ჩამოთვლილი უწყებების შესახებ ბევრი მასალა არსებობს, ბუნებრივია, არა მარტო პროკურატურაში.

ჩვენი ქვეყნის უბედურება იმაშია, რომ რასაც მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ, აბსოლუტურად უფუნქციოა. საერთოდ მის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი რადიკალურ ცვლილებებს ახდენს პირველ სამ ხელისუფლებაში. ამ მხრივ ყველაზე სკანდალური განცხადებებიც კი უყურადღებოდ რჩება, თუ მათ ოფიციალური უწყებები არ განიხილავენ.

რაც მე პარლამენტში გავაკეთე, იგივე არც ერთ ქვეყანაში რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა. მე რეაგირებას არ ვუწოდებ, როცა ამ უწყებების პრესცენტრებმა გააკეთეს განცხადება – ჩვენ არაფერი არ დაგვიშავებიაო. ასეთი სასაცილო პასუხები მათ წინამორბედთაგანაც გვაქვს მოსმენილი.

ასეთი ბრალდება მარტივად არც დასტურ-

გაგრძელება მე-4 გვ.

## საზოგადოება არ გაყოფილა და კონფლიქტიც გარედანაა თავსმოხვეული

1 მარტს გაიმართა რუსთაველის საზოგადოების საგანგებო ყრილობა, რომელმაც ოფიციალურად დაადასტურა მის გარშემო ერთი წლის მანძილზე მიმდინარე ვითარებების უმართებულობა.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გურამ გეგეშიძემ მოკლედ მიმოიხილა საზოგადოების მთლიანად გაწეული მუშაობა, ხოლო „ალტერნატიული" რუსთაველის საზოგადოებაზე განაცხადა, რომ მისი შექმნა დღევანდელმა ცხოვრებამ განაპირობა, სადაც ზნეობა დაეცა და კარიერა-თანამდებობებისათვის ყველაფერს კადრულობენ, ხოლო საქართველოს თავისუფლებაზე კი არავინ ფიქრობს. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ყრილობაზე მიიწვიეს „მეორე მხარის" წარმომადგენლებიც, რათა გაერთიანებული ძალებით საერთო საქმე ეკეთებინათ, მაგრამ ისინი არ მოვიდნენ.

ქალბატონმა ლუიზა შაკიაშვილმა საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის ორგანიზება პრეზიდენტის ინიციატივას მიაწერა და გაკვირვება გამოთქვა მ.ლებანიძისა და ტ.ჭანტურიას საქციელის გამო.

ბატონმა თსოგუამ ისაუბრა საზოგადოების იურიდიულ საფუძვლებზე. მან აღნიშნა, რომ შიდა განხეთქილება კი არ მოხდა, არამედ სრულიად უცხო ჯგუფმა მოინდომა ახალი რუსთაველის საზოგადოების შექმნა, რომელთა მიზანიც იყო შენობის ხელში ჩაგდება. ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ირ.სურგულაძე, აფხაზეთის რეგიონალური საზოგადოების თავმჯდომარე მ.პატარაია, აჭარის რეგიონალური საზოგადოების თავმჯდომარე ბ.დიასამიძე, იმერეთის რეგიონალური საზოგადოების თავმჯდომარე თ.ნადირაძე და სხვები.

ყრილობის დადგენილებაში ჩაიწერა, რომ საზოგადოება არ გაყოფილა და კონფლიქტიც გარედან თავსმოხვეულმა პრობლემამ გამოიწვია. ყრილობამ გააუქმა ადრინდელი უკანონო ბრძანებები ყოფილი ვიცე-პრეზიდენტ თ.გობრონიძის ხელმოწერით. კერძოდ, შენობის გადაცემა ბანკისათვის, აგრეთვე საზოგადოების მაღაზია „ფატმანის" კუთვნილების გარკვევა, რომელიც უცხო პირების ხელში აღმოჩნდა. შექმნილი კომისია გაარკვევს, თუ როგორ მოხდა თავის დროზე ქალაქის აღმასკომის მიერ, რუსთაველის №37 მდებარე მაღაზიის იჯარით რუსთაველის საზოგადოებაზე გადაცემის უგულვებელყოფა. კომისიას აგრეთვე დაევალა გაარკვიოს „ივერთბანკის" ხელმძღვანელობის მიერ რატომ იქნა ხელოვნურად შემცირებული ბანკის დამფუძნებელთა საწესდებო კაპიტალი.

ყრილობამ გაწეული მუშაობისათვის მადლობა გადაუხადა თენგიზ სიგუასა და გურამ გეგეშიძეს. საზოგადოების გამგეობაში შეიყვანეს 7 კაცი: მ.სააკაშვილი, ე.თევდორაძე, მ.არეშიძე, კ.ჯანდიერი, ი.გოგიჩაიშვილი, გ.თევზაძე, თ.ჯორჯაძე. პარლამენტართა ამ რაოდენობით გამგეობის გაძლიერება გვაფიქრებინებს, რომ საზოგადოების კონფლიქტური სიტუაციის მოწესრიგებაში ხელისუფლებაც ჩაერია და უახლეს მომავალში კვლავ ერთ რუსთაველის საზოგადოებაზე გვექნება საუბარი.

მართალია, ყრილობამ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება გაუგრძელა გურამ გეგეშიძეს, მაგრამ ამავე დროს გამგეობას დაევალა ახალი თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევა, რომლის კანდიდატურასაც მორიგ ყრილობაზე განიხილავენ.

ბუბაზ მებრელიძე

## ქართული სამხედრო კომისარიატების 5 წლისთავი

1 მარტს აღინიშნა ქართული სამხედრო კომისარიატების შექმნის 5 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, „ოფიცერთა სახლში" გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზეც შეაჯამეს 5 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები. განსაკუთრებით გამორჩეული კომისარიატების მუშაკებს საპატიო ჯილდოები გადაეცათ. (იფრინდა)

## ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით

სამხრეთ ოსეთის სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსი, რომლის განსაზღვრის გარეშეც რეგიონის ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია, მომავალ კვირას, მოსკოვში გამართულ საქართველო-ოსეთის დელეგაციების შეხვედრაზე განიხილება. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს მოსკოვში, საქართველოს საელჩოდან აცნობეს.

ოსური მხარე თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლება „ცხინვალის რეგიონში გარკვეული ტიპის ავტონომიური ერთეულის შექმნაზე" უნდა წავიდეს. მათივე სურვილია, რომ „ოსეთს ჰქონდეს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური უფლებების უფრო ფართო სპექტრი".

იმავე წყაროს ცნობით, 4-5 მარტს დაგეგმილი მოლაპარაკებები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის, ჩრდილო ოსეთის და საქართველოში ეუთოს წარმომადგენლები, „უთუოდ მოგვცემს კავკასიაში სიტუაციის დარეგულირების ახალ იმპულსს". (იფრინდა)

# ირინა სარიშვილი-ჭანტურია: ჯაბა იოსელიანს საკუთარი ცოდვები იმდენი აქვს, მგონი, ამის მიწერა ცოტა არასერიოზულიც იქნებოდა...

მესამე გვერდიდან

დება და არც უარყოფილ იქნება ხოლმე. ამ უწყებამ მაშინ სასამართლოში უნდა შეიტანოს სარჩელი. ბუნებრივია ამას არ აკეთებენ, ვინაიდან შემდგომ ოფიციალური ძიება იწყება და ჩემს ხელთ არსებულ ნებისმიერ დოკუმენტს უკვე ძალა ექნება. ამ შემთხვევაში გაზეთში კი გინდ დაგიბეჭდავს - გინდა არა. ამიტომ შემოვიფარგლე კონკრეტული ბრალდებით, ვინაიდან უაზროდ ჟურნალისტისა და გაზეთის საფრთხის წინაშე დაყენება არ მიმაჩნია სწორად. ჩემი მხრიდან ეს იყო საკმაოდ გამიზნული პროვოცირება, რომ რომელიმე უწყებას დაემტკიცებინა, ეს ცილისწამებაა. მათ განცხადებებში კი მსგავსი ჯერჯერობით არ ჩანს.

*- თქვენ ყოველთვის პირდაპირ ილაშქრებდით იმ პოლიტიკოსთა წინააღმდეგ, ვინც არ მიგაჩნიათ ხელისუფლებაში ყოფნის ღირსად. გავიხსენოთ თუნდაც თ.კიტოვანი, ოქროპირიძე და სხვები. დღეს კი მაშინდელი სიმკვეთრე თქვენში უფრო შენელებულად ჩანს. ამის მიზეზი, საერთოდ ამ თემაზე ბრძოლის ფორმის შეცვლამ, დროის ფაქტორმა განაპირობეს, თუ დღევანდელი ხელისუფლება თქვენთვის მისაღებია?*

- თქვენ სწორად აღნიშნეთ, ჩემი აქტიურობა კი არ გაპასიურდა, არამედ იმ ხალხის მოქმედებამ ფორმა შეიცვალა. წინა პარლამენტში ვთქვი, რომ თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ავტომატიანი ბანდიტები ჰალსტუხიანებმა შეცვალონო. მათი მოქმედება კი რადიკალურად განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, რეაქცია აბსოლუტურად იგივე მაქვს, უფრო მწვავეც კი, მაგრამ გარეგნულად სურათი უფრო მშვიდია, შინაარსით კი გაცილებით უარესია. ის, რაც კარგად ჩანს, მასთან ბრძოლა უფრო იოლია. ხოლო ის, რაც არ ჩანს, აისბერგივით ქვევით რჩება. ზემოთ ამოსული ნაწილი კი, პოპულისტური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი არ არის. ეს არის და მეტი არაფერი. თორემ ყველა ძალოვანი მინისტრის ჩამოთვლა, თავისი მაფიის სფეროების მითითებით არა მგონია ამ ვითარებაში, ცოტა იყოს. ჩემს წინა გამოსვლებს კი შედეგი სამწუხაროდ ძალიან გვიან მოჰყვა. თანაც იმ ხალხისგან, ვინც მათ თავის დროზე ხმალამოღებული იცავდა, შემდეგ კი გაოცებული სახით განაცხადეს, თურმე სამი წელია ეს ხდება და მე არაფერი არ ვიცი - რაც მაშინდელმა სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა. არადა ხომ ესმოდა? ამიტომაც ახლა ამ უწყებების მინისტრების დასახელება უკვე სამჯერ გავიმეორე პარლამენტში და ის რეპლიკაც დავაყოლე - მერე არ თქვათ, ეს რა ესმის ჩემს ყურებსო.

*- მოგეხსენებათ, რუსეთის თავდაცვის მინისტრის ი.როდიონოვის მოსალოდნელი ვიზიტის გამო დიდი აჟიოტაჟი ატყდა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?*

- ვფიქრობ, რომ როდიონოვის ვიზიტის დადებითად შეფასება უღირსებობაა, უარყოფითი შეფასება კი უბრალოდ არასერიოზულია, თუკი ეს კონკრეტულად როდიონოვს ეხება. ჩვენ თუ რუსეთთან გვაქვს საქმე, ნებისმიერი რუსი პოლიტიკოსის ვიზიტი გარკვეულ დაძაბულობას უნდა იწვევდეს, ვინაიდან თვითონ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაა დაძაბული. თუ მოტივი ისაა, რომ როდიონოვმა 9 აპრილის რბევაში მიიღო მონაწილეობა - ეს ცოტა არასერიოზულია, ვინაიდან იგი მაშინ იყო რუსეთის ხელისუფლების ერთ-ერთი შემსრულებელი სალდაფონი. ჩემთვის განწყობის თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ არის ელცინი, როდიონოვი თუ სელეზნიოვი ჩამოვა. ამიტომ არა მგონია მაინცდამაინც როდიონოვის ჩამოსვლაზე უნდა ტყდებოდეს ასეთი აჟიოტაჟი. როდიონოვი არის იმავე სახელმწიფოს ისეთივე სალდაფონი, როგორც სხვა.

*- ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედპ) გაყოფაზე ბევრი დაიწერა და ითქვა. როგორ წარმოგიდგენიათ ორად გაყოფილი პარტიის მომავალი და საერთოდ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?*

- თავიდანვე მინდა ხაზგასმით ვთქვა - პარტია კი არა, მისი ხელმძღვანელობა გაიყო. ეს კონფლიქტი სწორედ ხელმძღვანელობაში იყო ლოკალიზებული. პარტიული სიები იცით ნომენკლატურის მიხედვით დგება. აქედან გამომდინარე, დაყოფა ფრაქციაშია ძალიან თვალშისაცემი, პარტია კი ისეთივე ერთიანია, როგორიც იყო. რა თქმა უნდა, საერთოდ რომ არაფერი მომხდარიყო, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ, რაც მოხდა, ეს არის მეასედი იმ საშიშროებისა, რაც პარტიას ემუქრებოდა. ჩვენ რომ დროზე არ მოგვეხდინა კონფლიქტის სათავეშივე ლოკალიზება, იგი პარტიასაც გადაედებოდა და განხეთქილებაც ნამდვილად მოხდებოდა.

გამოყოფაზე საუბარს საერთოდ ვერიდები. მათ ადგილას, რომ სხვა ორგანიზაცია ყოფილიყო, ბუნებრივია ჩვენი შეფასებები, მათი მოქმედებისადმი უფრო მძაფრი იქნებოდა. ამ შემთხვევაში არ მინდა ხელი შევუწყო აზრს - ერთმანეთს დაერივნენო. ამიტომ არც ერთ პუბლიკაციაზე პასუხი არ მიმიცია. ზოგიერთი გამორჩეული გაზეთის პუბლიკაციები სავსე იყო ჩემზე თავდასხმებით. მომავალ არჩევნებამდე საკმაო დროა დარჩენილი, რომ ადამიანებმა თვითონ დაინახონ რამ გამოიწვია ეს ყველაფერი.

მხოლოდ ერთს ვიტყვი. სამაგალითოდ კი კვლავ რუსეთისადმი დამოკიდებულებას მოვიყვან. საშინაო პოლიტიკასთან დამოკიდებულება მუშტების ქნევით კი არ განისაზღვრება, არამედ რეალური მოქმედებით. მირჩევნია ფრაქციამ არ დატოვოს დარბაზი რუსი პოლიტიკოსის გამოსვლაზე (თუმცა, რუსეთისთვის ესეც არ არის ცუდი), მაგრამ შემდეგ, როცა იგივე ფრაქცია მხარს დაუჭერს რეგიონალურ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, საქმით რომელი მოქმედება ასხამს წყალს რუსეთის წისქვილზე, ეს არის ჩემთვის გასარკვევი. ამიტომ მირჩევნია დარბაზში დარჩე და ტაში არ დაუკრა, ვიდრე რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს დაუჭირო მხარი, რაც საქმით ძალიან დიდ ზიანს მოგვიტანს.

*- თქვენ ყოველთვის მკაცრად აფასებდით სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობას. დამთავრდა დიდი გამოძიება 29 აგვისტოს ტერაქტის მცდელობასთან დაკავშირებით. საზოგადოებისათვის ცნობილი ფაქტებიდან გამომდინარე შეიცვალეთ თუ არა დამოკიდებულება?*

- ნამდვილად არ შემცვლია. თუკი პერსპექტივაა - მხოლოდ უარესისკენ შეცვლის. მე არ ვთვლი, რომ გამოძიება დამთავრებულია. მხოლოდ შემსრულებლებია გამოაშკარავებულნი და ესეც არგუმენტირებულად არ მიმაჩნია. აი, შემსრულებლებიც კი ისინი არიან, ვინც სინამდვილეში იყვნენ თუ არა? სახელმწიფოს მეთაურით დაწყებული, ჩვენს შემთხვევასთან დაკავშირებით ყველამ აღიარა, რომ ეს იყო შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობა. შეკვეთილს კი როცა რაღაცას უწოდებთ, ბუნებრივია შემკვეთის დადგენაა ყველაზე მნიშვნელოვანი, თორემ ასეთი გამოზრდილი რობოტები ყველგან არსებობენ. ჩვენ სახელმწიფოს არ უნდა დაავიწყდეს, რომ სანამ დახვრეტაა, მკვლელები ლეგალურებიც და არალეგალურებიც გვყავს. თუ სახელმწიფო თვითონ ხვრეტს და ჯალათის მდგომარეობაშია, მისთვის რა მნიშვნელობა აქვს ვინ გადაუხდის ფულს-თავად სახელმწიფო, თუ კერძო პირი ან ორგანიზაცია.

ძალიან შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს მკვლელობა შეკვეთილი და ორგანიზებული იყო „მხედრიონის" ხელმძღვანელობის მიერ. შეუძლებელია, შემსრულებელი ფორმალურად მაინც არ აღმოჩენილიყო „მხედრიონის" წევრი. ყველა ასეთი გაერთიანება იყო „მხედრიონში". ეს იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ მკვლელობა შეკვეთილი და ორგანიზებული იყო „მხედრიონის" ხელმძღვანელობის მიერ. ჯაბა იოსელიანს საკუთარი ცოდვები იმდენი აქვს, რომ მგონი ამის მიწერა ცოტა არასერიოზულიც იქნებოდა. იგი არ გახლდათ იმ მასშტაბისა და იმ დონის ფიგურა, რომელსაც ასეთი დონის პოლიტიკურ მკვლელობათა დაკვეთა, ან ორგანიზება მოეხდინა. ჩემი აზრით, მისი პასუხისმგებლობა გაცილებით მძიმეა, რამდენადაც „მხედრიონმა" ხელი შეუწყო ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის სხვა რელსებზე გადასვლას. ნაწილი - წამალზე გადავიდა, ნაწილი კი ბანდიტიზმის გზით წავიდა. არა მარტო ჯაბა იოსელიანმა, არამედ ვისაც მაშინ ვასახელებდით თავიანთი მოღვაწეობით, საქართველოში ისეთი ატმოსფერო შექმნეს, სადაც დაისადგურა განუკითხაობამ. ეს არის მათი პასუხისმგებლობა. მკვლელობები კი შეკვეთილი იყო რუსეთიდან. ჩვენმა პარტიამ მაშინ ეს განცხადება გააკეთა და ეს აზრი არც ახლა შეგვიცვლია. აქედან გამომდინარე, იგორ გიორგაძის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამტარის, როლის გამორიცხვა შეუძლებელია, და ამას მგონი არც არავინ უარყოფს, მაგრამ იგიორგაძე მაინც ზოგადია, ვინაიდან რუსეთზე ზოგადად გადის. ი.გიორგაძის სახელი საქართველოში კონკრეტულად არავიზე არ გადის. სახელმწიფოს მეთაურმა როგორც კი დააჯილდოვა იგიორგაძე, ეჭვი უფრო გაიღრმავდა. ეს ხომ არ გაკეთდა, რომ აქცენტი მკვეთრად გაკეთებულიყო იმაზე, ვინც იქეთაც გამოაშკარავებული იყო. ამ დაჯილდოვებით ჩრდილში ხომ არ გადავიდა ის პიროვნება, ან ისეთი ჯგუფი, ვინც უშუალოდ კონკრეტულ დაინტერესებულ პირზე გაგვიყვანდა. ეს არავინ არ იცის.

გაგრძელება იქნება

## უზბეკეთში დაგეგმილია სამხედრო მანევრების ჩატარება

ა.წ. ზაფხულში შუა აზიაში, კერძოდ, უზბეკეთში, დაგეგმილია სამხედრო მანევრების ჩატარება, რომელსაც „თურქესტან - 97" ეწოდება. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ამ სამხედრო სწავლებაში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს შეიარაღებული ძალების მოტომსროლელმა ოცეულმა. (იბერია)

## ლევ როხლინს მიზანშეწონილად არ მიაჩნია

თბილისში ყოფნისას რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა ლევ როხლინმა განაცხადა, რომ მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად ახალქალაქში რუსეთის სამხედრო დივიზიის ყოფნა. ლევ როხლინი იმით განმარტავს თავის განცხადებას, რომ აღნიშნული დივიზია ძალზედ ახლოს იმყოფება თურქეთის საზღვართან და სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით, მის იქ ყოფნას აზრი არა აქვს, რადგან საზღვართან ახლოს მყოფი სამხედრო დივიზია უმალვე იქნება განადგურებული მძლავრი საარტილერიო დარტყმით. ამდენად, ლევ როხლინს მიაჩნია, რომ ეს დივიზია გადატანილი უნდა იქნას ახალქალაქიდან. (იბერია)

## ბრიტანეთის ორგანიზაციებმა სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ საქართველოს შიდა კონფლიქტის დარეგულირებაში

დიდი ბრიტანეთის ორგანიზაცია „ვერტიკა" გამოთქვა სურვილი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქართულ-ოსური დიალოგის ორგანიზებაში. ისინი უკვე იღებენ მონაწილეობას ამ დიალოგში შუამავლის სახით და ამზადებენ წინადადებებს მხარეებისათვის, რათა მათ უშუალო კონტაქტი ჰქონდეთ ერთმანეთთან. ქართულ-ოსურ დიალოგში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, აგრეთვე, ბრიტანული ორგანიზაცია „ინტერნეიშენლ ალერტის" წარმომადგენლებმაც, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული შიდა კონფლიქტების დარეგულირებაში იღებენ მონაწილეობას. (იბერია)

## მარტის თვეში მოსკოვში ოთხმხრივი მოლაპარაკება გაიმართება

სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, რომ მოსკოვში მარტის თვის დასაწყისში გაიმართება ოთხმხრივი მოლაპარაკება ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დარეგულირების მიზნით. მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. დაგეგმილია განიხილონ ლტოლვილთა დაბრუნების, რეგიონის ეკონომიკური აღორძინების და ცხინვალის რეგიონის მომავალი სტატუსის საკითხები. (იბერია)

# კონკრეტულ შედეგზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია ვერ მოიძებნა

**საქართველოს** პარლამენტის აგრარულ საქმეთა კომიტეტში გაიმართა სხდომა, რომლის დღის წესრიგი ცოტა არ იყოს უჩვეულოდ ჟღერდა — „ამერიკიდან შემოტანილი სიმინდის ჰიბრიდული თესლით მომხმარებლებზე მიყენებული ზარალის შესახებ". კომიტეტის წევრთა გარდა სხდომაზე მოწვეული იყვნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, ფერმერები რეგიონებიდან, საქართველოს მემამულეთა კავშირის ხელმძღვანელები. აგრეთვე ამერიკული ორგანიზაცია ACDI-ს წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

ქ-ნმა როზა ლორთქიფანიძემ, საკითხის გასაშუქებლად სიტყვა მისცა ბ-ნ გია ხვიაშვილს. მოხსენებაში ფიქსირებული ფაქტები მართლაც რომ შემაძრწუნებელი აღმოჩნდა; 1996 წელს ბ-ნ ბაკურ გულუას ოფიციალური თხოვნის საფუძველზე რესპუბლიკაში შემოტანილი და ჯიშთა გამოცდის კომისიის ოფიციალური ნებართვის გარეშე ფირმა ACDI-ს დისტრიბიუტერების მიერ ფერმერთათვის დარიგებული იქნა 786 ტონა ამერიკული სიმინდის ჰიბრიდული თესლი. შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა: სიმინდი, რომელსაც ჰექტარზე 6-12 ტ მოსავალი უნდა მოეცა, დათესილი 24000 ჰექტარიდან 6000-ზე სრულიად არ ამოვიდა, ხოლო იქ, სადაც მოსავალი მიღებული იქნა, მისმა რაოდენობამ 1-3,5 ტონა შეადგინა. ათასობით წვრილ ფერმერთა გარდა, გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა 16 მსხვილი მეურნეობა. მათთვის მიყენებულმა ზარალმა 12.800.000 ლარს გადააჭარბა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ეს ფაქტი გამოიწვია იმან,რომ ფირმა ACDI-ს ხელმძღვანელობამ იგნორირება გაუკეთა სამინისტროს და მათთან შეთანხმების გარეშე შექმნა დისტრიბიუტერთა ქსელი. პარალელურად მემამულეთა კავშირის მიერ ფართოდ რეკლამირებული იქნა ამერიკული სიმინდის ჰიბრიდული თესლი, რამაც გამოიწვია ფერმერთა მიერ მისი მასობრივი გამოყენება.

ჯიშთა გამოცდის კომიტეტის წარმომადგენლის პოზიცია ასეთია: იმის გარდა, რომ აღნიშნულმა ჰიბრიდულმა ხაზებმა შესაბამისი შესწავლის და დარაიონების გარეშე შეიძლება მოსალოდნელი მოსავალი არ მოგვცენ, არსებობს საფრთხე მთელ რიგ რეგიონებში მათი გამოყენების შედეგად ადგილობრივი ენდემური ჯიშების გადაგვარებისა.

ილაპარაკეს დაზარალებულმა ფერმერებმა იმ კატასტროფული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ კრედიტების გასტუმრების შეუძლებლობის გამო, რაც მოუსავლიანობამ გამოიწვია.

ACDI-ს ხელმძღვანელმა ბ-ნმა იციდ ასმანმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია სხდომაზე წამოჭრილი პრობლემის არსი, რადგან მისი ფირმის, რომელიც შუამავლის როლს თამაშობდა ამერიკელ და ქართველ ფერმერთა შორის, სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, ჰიბრიდულმა სიმინდმა 14%-ით მეტი მოსავალი მისცა ქართველ ფერმერებს, ვიდრე ადგილობრივმა ჯიშებმა. ასევე —აღნიშნა მან, —ჩვენს მიერ ჯიშთა გამოცდის კომიტეტს გადაეგზავნა 1,5 ტონა ჰიბრიდული სიმინდი შესასწავლად. ხოლო, რაც შეეხება დაზარალებულ ფერმერებს, შესაძლებელია მათთვის დახმარების გაწევა იგივე სიმინდის თესლით და ტექნოლოგიით. აქვე აღნიშნა, რომ მას გააჩნია 50 ქართველი ფერმერის მადლობის წერილი.

როგორც გაირკვა, თავის დროზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს ASDI-ს ექსპერტთათვის შეუთავაზებიათ ერთობლივი მეთოდიკის შემუშავება ჰიბრიდული სიმინდის მოსავლიანობა-მოუსავლიანობის კვლევის ჩასატარებლად, რაც ASDI-ს მხრიდან უყურადღებოდ დარჩენილა.

სხდომამ 5 საათი გასტანა და საბოლოო ჯამში გადაწყვიტა ჩაეყენებინა ქვეყნის პრეზიდენტი შექმნილი სიტუაციის კურსში, ხოლო მოკვლეული მასალები პროკურატურისათვის გადაეგზავნა. მანამდე კი, ქონებაზე ყადაღადადებულ ფერმერებს, ალბათ, მხოლოდ ღვთის მიერ მოვლენილი სასწაულის იმედი თუღა შეიძლება ჰქონდეთ. ძნელია, ალბათ, ამდენი ხნის შემდეგ დამნაშავე სტრუქტურის ან ორგანიზაციის პოვნა, მითუმეტეს, როცა ყოველ მათგანს თავის გასამართლებელი არგუმენტ-დოკუმენტთა არა ერთი საქაღალდე აქვს მომზადებული, გაურკვეველია, ისურვებს კი ასეთ სიტუაციაში ფერმერთა უმრავლესობა ამის შემდეგ სამეურნეო საქმიანობის გაგრძელებას. ან კი ეშველება რამე მათ ვალებს, გაყიდულ ქონებას, იჯარის გადაუხდელობის გამო ჩამორთმეულ მიწებს? ფაქტი კი ერთია, ქვეყანაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ათობით ორგანიზაცია, კომიტეტი, ტრესტი, კავშირი, სამინისტრო წარმართავს – აკონტროლებს – აკვლიანებს –ამოწმებს, კონკრეტულ შედეგზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია ჯერ ვერ მოიძებნა. ალბათ, ამაზე იტყოდნენ ჩვენი წინაპრები: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო.

კობა კიკნაძე

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი

*გასული წლის ზაფხულში გამოვაქვეყნეთ დ.კლდიაშვილის პროგრამული ნაწარმოებების განხილვა. არ დაგვისტამბავს მისი ბიოგრაფია, რომელსაც ახლა გთავაზობთ. უკეთუ მე-11 კლასელები და აბიტურიენტები კვლავ მოითხოვენ მწერლის თხზულებების განხილვის დაბეჭდვას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ და გვაცნობოთ.*

*„ლიტერატურულ სკოლებში არასოდეს მიფოთარებია, მთავარია რას და როგორ წერ – უთქვამს დავით კლდიაშვილს შვილთან საუბარში – თუ მწერალი განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს...*

*გადავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე“.*

ადამიანისადმი სიყვარულით სავსე მოთხრობების ავტორი, დიდი ჰუმანისტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ამასთან რუსეთის იმპერიის სამხედრო მოხელე, პოლკოვნიკის ეპოლეტებიანი, ვიწრო მუნდირით „დამშვენებული“ დავით სამსონის ძე კლდიაშვილი. ასეთია უცხო თვალისთვისაც ადვილად დასანახი პორტრეტი მწერლისა.

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წლის 11 სექტემბერს, ზემო იმერეთის სოფელ სიმონეთში. 7 წლის დავითი მშობლებმა ქუთაისის გზას გაუყენეს, რომ შვილი „უსტავლელი“ არ დარჩენოდათ. ეს გზა მალე უფრო გართულდა, გაიწელა, გაგრძელდა შორეული ჩრდილოეთისაკენ.

მომავალი მწერალი ნაადრევად ტოვებს უზრუნველ, სიხარულით სავსე ბავშვობას, სიმონეთისა და ხომულის (დედულეთი) იდილიურ სალამოებს, ჯერაც გაუყოფელი აზნაურული ოჯახების სითბოს და განსხვავებული, სხვისი როლით, სხვისი ყოფით იწყებს ცხოვრებას. „ცხრა წლის ბავშვის ხალასი, ცოცხალი ბუნება მუნდირში იმარხება. მუნდირში, რომლის მოსაპოვებლად მისმა მამამ, იმპერიის ჩინოვნიკმა სამსონ კლდიაშვილმა დედის კალთას ხანგრძლივად მოგლიჯა და შორს გაისტუმრა ერთადერთი ვაჟიშვილი.“

იმ ერთგულების „საფასურად“, თავადაზნაურობა რომ იჩენდა ტახტისადმი, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიიდან სამხედრო სასწავლებლებში, მთავრობის ხარჯზე, ყოველწლიურად იგზავნებოდა თავად-აზნაურთა ორმოცამდე ბავშვი.

კიევის სამხედრო გიმნაზიაში (სადაც პატარა დავითი გაამგზავრეს) თვითდამკვირვებლის, თვითშემმეცნებლის თვალი კლდიაშვილს ნაადრევად გაუმახვილდა, როგორც ყოველგვარ მშობლიურს მოწყვეტილსა და მარტოდ დარჩენილ ყმაწვილს. საყურადღებოა, რომ მომავალი მწერალი, რომელმაც პირველი ორიგინალური ნაწარმოები მხოლოდ 32 წლის ასაკში დასტამბა, ჯერ კიდევ მეორე კლასში წერს მოთხრობას (რუსულ ენაზე). სამწუხაროდ, სამხედრო გიმნაზიის პედანტურად გამოზომილი დროისა და ჩრდილოეთის ერთფეროვანი დღეების მდინარებაში, განუწყვეტელ, გაოგნებამდე მისულ წვრთნაში და შოვინისტურ გარემოცვაში, ქართველი ბავშვები თანდათანობით ივიწყებდნენ მშობლიურ ენას.

სამი წლის შემდეგ საქართველოში არდადეგებზე ჩამოსულმა დავით კლდიაშვილმა ქუთაისიდან თარჯიმანი გაიყოლა სოფლად, მშობლებს რომ დალაპარაკებოდა.

ამის შესახებ მოგონებათა წიგნში – „ჩემი ცხოვრების გზაზე“ მწერალი წერდა: „სამი წელიწადი ვიყავი ისე, რომ მშობლები არ მინახავს, სამი წლის შემდეგ გაზაფხულზე მომივიდა ფული და ეგზამენების შემდეგ არდადეგებზე გამოვსწიე სახლისაკენ. ქართული უკვე დავიწყებული მქონდა. ორი კვირა ქუთაისში დავრჩი და რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული – ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან.

საღამო იყო, ჩვენ რომ მივედით. მთლად ეზო და ბალკონი სავსე იყო თავშეყრილი მეზობლებით. სიხარულის ტირილით შემხვდა დედა, რომელიც მეტად დაავადმყოფებულიყო ჯავრისაგან ამ სამი წლის განმავლობაში. სათითაოდ გულში მიხუტებდნენ ქალები და დედაჩემი მახსენებდა: ეს ბებია მელანაა, შენ გენაცვალე, ეს მარია, ეს ელენე, ეს მაია, ეს დაჯია და ასე. ყველა თვალცრემლიანი სიყვარულით მეხვეოდა და მეალერსებოდა. დიდი გასაჭირი ადგა საწყალ ჩემ ბიძაშვილს, მრავლად თავშეყრილი კაცები იძლეოდნენ ათას კითხვას და ყველასთვის პასუხი იყო საჭირო. ერთმა იოხუნჯა, რომ ბავშვს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვდევდი ოთახში, რაღა რუსეთში აგზავნიდით, თქვე დალოცვილებოო“. ამ დღეში იყვნენ ის ბავშვები, რომელთაც თავის ხარჯით ზრდიდა მთავრობა რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში საქართველოს თავად-აზნაურთა ერთგულების საპასუხოდ...

თუ პატარა ბავშვების გარუსება შედარებით იოლი საქმე იყო, სამაგიეროდ პრობლემები ჩნდებოდა იმ რიგით არარუს ჯარისკაცებთან, რომელნიც სამხედრო სამსახურში გაწვევის დროისათვის მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობდნენ. ამიტომ გასული საუკუნის 80-იან წლებში,როცა დავით კლდიაშვილი უკვე ოფიცრად მსახურობდა ბათუმში, გამოიცა განკარგულება, რომლის ძალითაც ქართველი ჯარისკაცები უნდა აერიათ რუსებში (ადრე ცალ-ცალკე არსებობდა ქართული, სომხური თუ სხვა ეროვნულ უმცირესობათა საჯარისო ნაწილები). „ჩვენს ნაწილში ამ ახალი წესის გამო მოვიდა ერთი პარტია ოზურგეთის მაზრიდან – იგონებს დ.კლდიაშვილი– ჯარისკაცებად გამოწვეული ახალგაზრდები ერთი მეორეს სჯობნიდნენ შეხედულებით. რუსულის მცოდნენი მათ შორის ნაკლებად ერივნენ. დაანაწილეს გუნდებში და ჩააბარეს სასწავლოდ ეგრეთ წოდებულ „დიადკებს“. პირველ ხანებში თითქო ყველაფერი კარგად იყო, ორი თვის შემდეგ კი... თითქმის ყველამ მიატოვა ნაწილი და გაიპარნენ. შეიქნა ერთი გამოძიება, გამოკითხვა, რატომ მოხდა ასეთი რამ, მიწერმოწერა.ერთი კვირის შემდეგ ყველანი უკლებლივ დაბრუნდნენ. დაინიშნა გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რამ აიძულა ისინი ასეთ მოქმედებაზე. გამოძიება მომანდვეს მე.

მოვუყარე ყველას თავი და სათითაოდ დავკითხე გაქცევის მიზეზი. ყველა იმას ჩიოდა, რომ ენის უცოდინარობის გამო მეტისმეტად უმძიმდათ სწავლა – მეცადინეობა და უკიდურესად წვალობდნენ.

– ბატონო! – მითხრა გამწარებით ერთმა მათგანმა... ბატონო, რუსული არ ვიცი, არ მესმის არაფერი. დამიდგება წინ ჩემი დიადკა საველიევი, რაღაცას მეუბნება. რაღაცას,ალბათ მასწავლის. მე კი არაფერი მესმის, ვდგევარ გაყეყჩებული, გაშტერებული, ჩემს გულს ვაწყდები, ისიც იღლება და გაჯავრებული მიყვირის და მიძახის: დურა! დურაკ! დურაკი რატომ ვარ? რუსული რომ არ ვიცი, იმიტომ? აბა ქართულად დამელაპარაკოს, მაშინ გავიგებთ, ვინაა უფრო დურაკი, მე თუ ის! ველარ გავუძელ ამდენ გინებას. ქართულად მელაპარაკოს და დურაკობას მაშინ გაიგებს, გაიქცევი კი არა, ვინ იცის, რას იფიქრებ კაცი“... იმავე მემუარებში მწერალს მოჰყავს ერთი სიუჟეტი, რომლითაც ცოცხლად წარმოგვიდგება ის შეუნიღბავი მეთოდი, რომლითაც ყველა არარუსისა და ყოველგვარი არარუსულის მოსპობასა და გადაჯიშებას ცდილობდნენ.

„მართლმადიდებლობა და რუსი – ამის გარეშე არაფერი არ უნდა ყოფილიყო რუსეთის სახელმწიფოში.

ერთხელ რაღაც პარაკლისის შემდეგ მღვდელმა მოინდომა ნაკურთხი წყლის სხურებით ჩამოვლა გუნდებისა. მინდორში ვდგავართ. გუნდებში ებრაელებია და მუსლიმანებიც. ვუბრძანეთ ჩვენ-ჩვენ გუნდებს მწკრივებად გასულიყვნენ ისინი და უკან დამდგარიყვნენ, რათა აგვერიდებინა წყლის სხურება. პოლკოვნიკმა დაინახა ის და იყვირა – ჩამდგარიყვნენ მწკრივში თავიანთ ადგილას.

– ისინი ებრაელები და მუსულმანებია, ვუთხარით.

– მერე რა? რა ნება აქეთ, ერიდონ წმინდა წყლის სხურებას? გვხოვთ, ფხიზლად უყუროთ საქმეს! – მწყრალად გადმოგვძახა, ჩააყენა ყველა მწკრივში და მღვდელმაც გულმოდგინედ ასხურა „წმინდა წყალი“ და აჩრიდა სამთხვევად ჯვარს ებრაელსაც და მუსულმანებსაც.

გასაოცარი გულმოდგინებით უნერგავდა ყველას, რომ რუსეთის იმპერიაში ყველა რუსია და რუსი უნდა იყოს...

ერთხელ ოთხთვიანი სწავლის დამთავრებული ახალგაზრდა ჯარისკაცები გუნდად გვყავდა დაყენებული მინდორში. გამომცდელი, ეგზემენატორი, რუსი პოლკოვნიკია, რასაკვირველია.

მივიდა პირველი გუნდის ახალ ჯარისკაცთან. თოფის ვარჯიშობის შემდეგ მისცა სხვადასხვა კითხვა და ბოლოს ჰკითხა:

– ვინ ხარ შენ?

ებრაელმა მიუგო, ებრაელიო.

პოლკოვნიკი გაჯავრდა და მიაყვირა: – დურაკ!.. კაკოი ტამ ევრეი?! აბა, შენ ვინ ხარ, შენ?

შეეკითხა მეორე ებრაელს. ეს მიუხვდა პოლკოვნიკს და ხმამაღლა, თამამად შესძახა:

– რუსი!

– რასაკვირველია რუსი!..რუსი!.. ეს კარგად უნდა იცოდე, რომ რუსი ხარ!

ახლა გადავიდა მეორე გუნდის ახალგაზრდების გამოსაცდელად. რამდენიმე კითხვის შემდეგ ისევ შეეკითხა ერთ ჯარისკაცს:

– ვინ ხარ შენ?

მწკრივის მეორე რიგში იდგა ჯარისკაცი როსტომაშვილი.

– ვინ ხარ შენ? –გადაუძახა მას პოლკოვნიკმა.

– როსტომაშვილი!

– დურაკ! მე გეკითხები შენ ვინ ხარ? გესმის თუ არა? – მიაყვირა პოლკოვნიკმა.

ჯარისკაცი გაშრა შიშისაგან.

–მე შენ გეკითხები, ვინ ხარ შენ:

– არმიანინ! –მიუგო გაუბედავად როსტომაშვილმა.

– კაკოი ტამ არმიანინ?! – გდე ტვოი როდინა, დურაკ?

ბიჭი დაიბნა, ხმას ვერ იღებდა, პოლკოვნიკმა მძლავრად მიაყვირა:

– ია ტებია, სპრაშივაიუ, დურაკა– გდე ტვოი როდინა? სლიშიშ ტი!.. გდე ტვოი როდინა?

– გორი, – წაილუღლუღა როსტომაშვილმა.

– კაკოი ტამ გორი? ია ტებია სპრაშივაიუ, გდე ტვოი როდინა?– არ ეშვებოდა გაჯავრებული პოლკოვნიკი– ნუ!

როსტომაშვილმა მიაშტერა თვალები პოლკოვნიკს და „ნუს“ შეძახებაზე წამოიძახა:

–არმენია!

– არმენია! – იყვირა პოლკოვნიკმა, –არმენია?! კაკოი ტამ არმენია... ეტო ჩტო ტაკოე, კაპიტან უსპენსკი (როსტომაშვილის გუნდის უფროსი), გესმით რას ამბობს ეს თქვენი ჯარისკაცი?! ვინ ასწავლა მას ეს არმენია? სად გამონახა ამან არმენია? ეტო ჩტო ზა ნოვოსტ! გდე ტვოი როდინა, დურაკ, გდე?!

დამფრთხალი როსტომაშვილი იდგა გაშტერებული, გამშრალი.

– ვინ ეტყვის მას სად არის მისი სამშობლო, ვინ არის იგი?

– მე შემიძლია! – მოისმა ხმა და პირველი გუნდის ახალგაზრდებიდან წამოიჭრა შავგვრემანი ჯარისკაცი.

– ნუ სკაჟი ემუ! – პოლკოვნიკმა უკმაყოფილებით მიაპყრო თვალი, ეტყობოდა არ ესიამოვნა, რომ მის წინ ებრაელი იდგა.

– აბა, უთხარი! – კუშტად უბრძანა პოლკოვნიკმა.

– მისი სამშობლო რუსეთია და იგიც რუსია! – თქვა ებრაელმა.

– რასაკვირველია, – წამოიძახა პოლკოვნიკმა, – რასაკვირველია.

შენი სამშობლო რუსეთია და შენ, დურაკო, რუსი ხარ, რუსი!.. არმენია!.. კაპიტან უსპენსკი, აწი აღარ გაეგონო ასეთი სისულელე! ეს ვაჟბატონი კი დასაჯეთ, რომ გადაიეწყოს მისი არმენია!.. ია ტებე პოკაჟუ არმენიუ!

გამოსაცდელ ჯარისკაცებს დაუარეს ოფიცრებმა და გააფრთხილეს, რომ პოლკოვნიკის შეკითხვაზე, თუ სად არის სამშობლო, ანდა ვინ ხარ – ეპასუხნათ: რუსეთი და რუსი ვარო. მეხუთე გუნდის ახალ ჯარისკაცებში მოქცეულიყვნენ რამდენიმე ყირგიზი და ბაშკირი: – ამობუსკული პირისახის ძვლები, წვრილი, მოჭუტული თვალები.

– ვინ ხარ შენ? – მიმართა ერთ ამათთაგანს პოლკოვნიკმა.

– რუსი, – იყო პასუხი.

– რასაკვირველია, – კმაყოფილებით წამოიძახა პოლკოვნიკმა.

– შენ? – შეეკითხა მეორეს.

– რუსი – ძლივს წარმოსთქვა შეშინებულმა ყირგიზმა.

– რა ასე გაუბედავად ამბობ... თითქო გერცხვინება, თუ უნდა გიხაროდეს,რომ რუსეთში ხარ და რუსი ხარ!..

ასეთი შეკითხვით მიმართა დანარჩენებსაც და რა მიიღო მათგან პასუხად, რომ რუსები ვართო, პოლკოვნიკი კმაყოფილი დარჩა და გუნდის უფროსს უთხრა: „ეტყობა, გიმეცადინიათ და საკმაოდ შეგითვისებიათ მათთვის მათი ვინაობაო“. ზუსტად სამხედრო „განმანათლებელთა“ მსგავსად იქცეოდნენ სამოქალაქო „განმანათლებლებიც“. მაგალითად, დავით კლდიაშვილი გადმოგვცემს ზავადსკის საუბარს ერთ ქართველ მოსწავლესთან. ეს ის ზავადსკი გახლავთ, რომელიც ეროვნებით პოლონელი იყო, მაგრამ თვით რუსებზედ უფრო მეტად რუსობდა, როგორც საერთოდაა დამახასიათებელი გადაჯიშებული ადამიანისათვის. ეს ის ზავადსკია, რომელმაც 1902 წელს კავკასიის სახალხო განათლების მზრუნველის თანამდებობაზე შეცვალა კირილე იანოვსკი და ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა იანოვსკის შოვინისტური მოღვაწეობისა.

ერთხელ, ბათუმში ჩასვლისას, სამოქალაქო სასწავლებლის ერთი მოწაფისთვის მზრუნველს, პოლკოვნიკის მსგავსად, უკითხავს:

– ვინ ხარ შენ?

– აჭარელი! – მიუგო მოსწავლემ.

– აჭარელი, აჭარელი, სხვა არაფერი?

ბავშვი დაიბნა.

– თათარი! – თქვა მან გაჩუმების შემდეგ.

– თათარს აქ რა უნდა? – მოლუშვით წარმოსთქვა ზავადსკიმ.

– მუსულმანი ქართველი! – გაასწორა მოწაფემ.

– შენ არ გცოდნია შენი ვინაობა! – მოიტა ხელი!

მოწაფემ ხელი გაუბედავად გაუშვირა. ზავადსკიმ მოჰკიდა ხელში ხელი. გადააუბრუნა აღმა ხელისგული და ზედ დაადო მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი. ბავშვი გაშტერებით მისჩერებოდა.

– გაიმეორე ჩემთან: მე ვარ რუსი! მე ვარ რუსი!.. რუსი! რუსი!– და ბავშვი რომ ფრთოლვით იმეორებდა: მე ვარ რუსიო, ზავადსკი ხელისგულზე უკაკუნებდა საჩვენებელ თითს.

– ახლა ხომ გაიგე, ვინცა ხარ?! დაიმახსოვრე კარგად და სხვასაც გააგებინე!.. ჩასძახა მან შეშინებულ ბავშვს.

ეს არცთუ მცირე ექსკურსი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა დღეში ჩავარდებოდა უცხოობაში გადახვეწილი პატარა დავით კლდიაშვილი. იგი მწარედ განიცდიდა ბედუკუღმართობის გამო მშობლიური ენის გადავიწყებას. მაგრამ, როდესაც გონების თვალით შეხედავს მოვლენებს, როდესაც შეიტყობს საკუთარი ვინაობის, წარმოშობის, მშობელი ხალხის მდგომარეობისა და მისი დიდი კულტურის შესახებ, მის არსებაში იღვიძებს ეროვნული სიამაყის გრძნობა. თანდათანობით თვალს აჩვევს ქართულ წიგნებს. გაჭირვებით კითხულობს „ივერიის“ გადაცრეცილ გვერდებსა და მისი ღვთაებრივი რედაქტორის თხზულებებს, ადგენს საქართველოს მოკლე ისტორიას.

გაგრძელება იქნება

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

**იზა ორჯონიკიძე**: – მე არა მგონია რომელიმე ქართველს, წესიერ ადამიანს, რომელიმე ნამდვილ ინტელიგენტს, გნებავთ მუშას, გლეხს, დღეს საქართველოში მცხოვრებს ამაზე რთული, საპასუხისმგებლო, ძნელბედობის დღე დაუდგეს ოდესმე.

მე მაინცა და მაინც დიდი იმედი არა მაქვს, რომ მომავალი საუკუნის დამდეგს მოევსწრები და მოვისმენ იმ ისტორიულ მსჯავრს, რომელსაც ჩვენ, ამ კრების მონაწილეებს გამოგვიტანენ! ამიტომ დღეს ვიტყვი, თუ ამ კონსტიტუციას ასე მივიღებთ, როგორც გვთავაზობენ, ბატონო ნოდარ, იმ საუკუნის ქართველებმა ჩვენ ყველანი შეიძლება საერთოდ კანონგარეშე გამოგვაცხადონ. განა ჩვენი გადასაწყვეტია ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის ბედი?! ვინა ვართ ჩვენ?! ერის უკითხავად თავს რად ვიდებთ ისეთ საქმეს, რომელიც (თუ სწორად ვერ მოვიქეცით!) შეგვარცხვენს?! ქართული ენის ბედი დიდი ხანია, 2000 წლის წინ არის გადაწყვეტილი! ერთხელ და სამუდამოდ!

**გრ.აბაშიძე** – ემოციების გარეშე იზა!

**ი.ორჯონიკიძე** – ბატონო გრიგოლ, აქ დღეს გამოსული ვერც ერთი ადამიანი ემოციების გარეშე ვერ ილაპარაკებს. თუ უემოციოდ განხილვა გნებავთ, მაშინ კონსტიტუციის ეს პროექტი მიცვალებულთათვის უნდა მოგვეცათ განსახილველად, სასაფლაოზე უნდა გაგვემართათ კრება! თუმცა ამ პროექტს არც ჩვენი მკვდრები მიიღებდნენ. ბატონო გრიგოლ, სხვათა შორის ლენინსაც კი უწერია ერთგან – ყველა ცოცხალი ადამიანი, რომელსაც აქვს გული, არ შეიძლება გულგრილი და ინერტული დარჩეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის ჟამსო. როცა ილია მოკლეს (ხმა– დიახ, მოკლეს!) მთელმა ეპოქამ, რომელიც ილიასთან ერთად დამთავრდა, განაერცო, განიცადა ერის დიდი წუხილი, მაგრამ დღემდე კარგად არავინ დაფიქრებულა, და რაც მთავარია, ხმამაღლა არავის უთქვამს ვინ მოიმოქმედა ეს საშინელი დანაშაული, არავის უთქვამს რომ ჩვენში, ჩვენიანების ხელით მომზადდა ეს საშინელი მკვლელობა.

როცა ილიას მოკვლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძეს ვიღაცამ ჰკითხა, რომელი ილია მოჰკლესო, ნიკო ნიკოლაძემ უპასუხა – რომელ ილიას მოჰკლავდნენ, ჩვენ ერთი ილია გვყავდაო. ჩვენ ერთი დედა ენა გვაქვს, ნუ ჩავიდენთ ილიას მკვლელობაზე უფრო საშინელ მკვლელობას! ნურც სხვას, უცხოს, გადავაბრალებთ ყველაფერს. ჩვენ, მწერლები, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ, უმნიშვნელოვანეს ეტაპზე არ უნდა ვიყოთ ასეთი მშიშრები, არაგულწრფელნი, და უგულისყურონი ჩვენი დედა ენის მიმართ. დღევანდელი კრება კი სწორედ იმის ნიმუშია, რომ ასეთნი ვართ.

მე როგორც ქართველს, რიგით მოქალაქეს, რომელსაც არსად სხვაგან, გარდა საქართველოსი, ცხოვრება არ მსურს, დღეს ვერავინ გამაჩუმებს. ჩვენ, ყველას ჩვენ ერთად სრული უფლება გვაქვს, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ პროექტის განხილვაშიც და გვქონდეს, შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი ამ დოკუმენტის გარშემო.

ქართული ენა ღვთისაგან დაცული ენაა, მე–20 საუკუნის ბოლოს ქართულ ენას დაცვა რომ სჭირდება, მე ეს დიდ მკრეხელობად და უბედურებად მიმაჩნია. აი ეს გახლავთ ჩემი გამოსვლის აზრობრივი და ემოციური არსი.

ახლა რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციის პროექტის რიგ მუხლებთან დაკავშირებით:

ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია, თუმცა სრული ფიქცია გახლავთ, მაინც უკეთესია იმასთან შედარებით, რასაც დღეს გვთავაზობენ. ძველ კანონში მკაფიოდ, ნათლად არის ჩამოყალიბებული რესპუბლიკის ყველა უფლება-მოვალეობა, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობა და სხვა...

ახალი კონსტიტუციის პროექტში, რამდენიმე საკვანძო, ეროვნული თვალსაზრისით სასიცოცხლო მნიშვნელობის პუნქტი, ძალზე განსხვავებულად, ჩვენდა საზიანოდ არის ჩამოყალიბებული, მაგალითად 75–ე მუხლი; მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოს, გარდა ენისა, სხვა ნიშნებიც აქვს, რომელიც მის სუვერენობას განსაზღვრავს, ეკონომიკური, სოციალური და სხვა. ყველაფერს მივაქციოთ ყურადღება, ყველა კუთხიდან შევხედოთ პროექტს იქნებ ზოგმა არც კი იცის, ვერ ხედება, რა არის ჩვენს თავს და რას გვიპირებენ.

თავი მეცხრე, მუხლი 13: საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით ადგენდა საქართველოს მინისტრთა საბჭო და შემდგომ ამტკიცებდა მას საკავშირო მინისტრთა საბჭო – თავი IX, მუხლი 112. პროექტში (თავი XX) შეტანილი 161 მუხლით, მე თუ სწორად მესმის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს შეიმუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საკავშირო ბიუჯეტის საფუძველზე– მე ვფიქრობ, რომ ძველი კონსტიტუციის მე–9 თავი მთლიანად უნდა დარჩეს ძალაში, თუკი ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ.

სასურველია საქართველოს ღერბიც დარჩეს ისე, როგორიც იყო.

„ალამი“ „დროშა“ არ გახლავთ. დროშა დიდია, ალამი პატარაა და სამკუთხა. რესპუბლიკას დროშა შეჰფერის. ნუ დავაპატარავებთ დროშას. ძველი კონსტიტუციის ეს ცნებაც უნდა გადავიდეს ახალში.

მოდით, დღეს მაინც ვიყოთ გულწრფელნი, ვთქვათ, რასაც ვამბობთ, გულწრფელად, ვიმეორებ გულწრფელად! ახლა გულწრფელობისა და სიმართლის თქმის ყველაზე უკეთესი წამია. ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, სასიცოცხლოდ აუცილებელი!

ძველი კონსტიტუციის 156 მუხლის ახალი რედაქციაც არ მიმაჩნია სწორად, მიზანშეუწონელია. ახალი პროექტის 75–ე მუხლის მეორე– მესამე აბზაციც მოითხოვს აზრობრივ და მკვეთრ სტილისტურ დახვეწას. რადგან რაც არის, ის საშიშად ორაზროვანია. ამ პუნქტით კანონდება ის (ვგულისხმობთ ეროვნული რესპუბლიკის მიმართ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას!), რაც დღემდე არაოფიციალურად კეთდებოდა საქართველოში. და რომ რუსიფიკაცია ხორციელდება, თითოეული ჩვენთაგანის „დამსახურებაა“. ჩვენ მოვიყვანეთ საქმე იქამდე, რომ მოეკლათ ილია და დღესაც მივიყვანეთ საქმე იქამდე, რომ ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმება შემოგვბედეს, თანაც სურთ ეს ჩვენივე ხელით გაგვაკეთებინონ! ეს არ შეიძლება ჩვენ გავაკეთოთ, ეს დაუშვებელია! 75–ე მუხლის მაგივრად სასურველია და აუცილებელია ძველ კონსტიტუციის 156 მუხლის უცვლელად დატოვება. „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. ამას მოვითხოვ როგორც ქართველი, როგორც მწერალი, როგორც მოქალაქე, როგორც წერია ძველ კონსტიტუციაში, დარჩეს უცვლელად. უნდა გამოვიდნენ ჩვენი ხალხის ინტერესებიდან, იმ ინტერესებიდან, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს მომავალს უკავშირდება. ჩვენი სილაჩრე გამოიწვევს სამომავლო მიზნების გაყალბებას, ამას შეიძლება მოჰყვეს მოულოდნელად არასასურველი, დამღუპველი შედეგი.

კულტურისათვის [illegible] იმედი კი უნდა შეძლოს, რომ [illegible] სასიცოცხლო მნიშვნელობის აზრი – საქართველოში ქართული ენა უნდა ვითარდებოდეს ისე, როგორც ერი ითხოვს, როგორც ქართველ ერს ეკადრება.

პროექტის მეხუთე თავის 32 მუხლში აუცილებლად უნდა დაემატოს სიტყვა „პარტიულობისა“, რომ ვინმეს არ მოეჩვენოს, თითქოს პარტიულები რაიმე აზრით მეტი უფლებებით ისარგებლებენ, ვიდრე უპარტიონი. (ხმა – სწორეა!) მე იმედი მაქვს, რომ ჩვენს მიერ აქ გამოთქმულ მოსაზრებებს, სურვილებსა და შენიშვნებს უსათუოდ გაითვალისწინებენ ზემდგომი ორგანოები. გასათვალისწინებელია ის ემოციებიც, რომელიც ზოგიერთების სიტყვებს ახლდა.

პატიოსან ადამიანთა კეთილი გრძნობები უნდა მოხმარდეს საზოგადოებასა და ჩვენი ერის ინტერესებს. ეს არის ჩვენი უდიდესი ვალი შთამომავლობის წინაშე.

ახალი კონსტიტუციის პროექტის 171 მუხლს ბევრად სჯობს ძველი, მოქმედი კონსტიტუციის მეათე თავის 124 მუხლი, ე.ი. უფრო უკეთესად, უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული.

სასურველია ძველის უცვლელად დატოვებაც. აი მოკლედ ის ფაქტები, რაც გამოჩნდა ახალი კონსტიტუციის წაკითხვისას.

მჯერა, რომ საზოგადოებრივი განხილვის შედეგების გათვალისწინების შემდგომ ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღებს ისეთ სახეს, როგორიც შეჰფერის ჩვენს სახელმწიფოს – საქართველოს.

მაქვს სხვა შენიშვნებიც, შემეძლო მეთქვა, მაგრამ ძალიან ბევრი გამოვა. მაგალითად არის პუნქტი, – „საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას აქვს უფლება უშუალოდ ურთიერთობა დაამყაროს...“ ახალში სიტყვა „უშუალო“ ამოღებულია! უნდა ჩაემატოს!

**თავმჯდომარე**– ტაშისათვის ნურაფერს ნუღარ ვიტყვით, იზა!

**ი.ორჯონიკიძე** – მე ვფიქრობ, აქ ტაშისა ან სხვა რაიმეს მოსაპოვებლად არავინ მოსულა. უსვინდისოა ის, ვინც აქ მხოლოდ ტაშისათვის მოვიდა, მაგრამ ბატონო ნოდარ, ნუ დაუშლით ერთხელ მაინც დაუკრას ტაში ხალხმა მაშინ, როცა მას ეს უნდა, მაშინ როცა ჩვენ გვინდა დავეთანხმოთ იმათ, ვინც მშობლიურ ენას იცავს.

**თავმჯდომარე** – სიტყვა აქვს ა.ბაქრაძეს.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19.

# როგორ გაძარცვა და გაანადგურა რუსეთმა საქართველოს ეკლესია

ეს პროცესი დაიწყო საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ პერიოდიდან, გაგრძელდა და დღესაც არ დამთავრებულა ჩვენდა სამწუხაროდ, – ვის ახსოვს შენი ეკლესია! – „რუსეთის მთავრობა 1811 წლიდან ერთის ხელით უსპობს ჩვენს ეკლესიას ისტორიულ-იურიდიულ უფლებებს, მეორეთი კი მას ძალით თანდათანობით ართმევს იმ ძვირფას ქონებას, რომელიც ხმარდებოდა ძველად როგორც ეკლესიებს და მათ მსახურთ, აგრეთვე მომეტებული ნაწილი ქონების შემოსავლისა ეროვნულ საქმეს“ (ჩკაპანაძე – „საქართველოს ეკლესიის ქონება და მისი ბედი“, გაზ.„საქართველო“, 1915 წლის 4 ენკენისთვე).

ისტორიული ფაქტია, რომ სანამ რუსეთს „შევუერთდებოდით“, ქართველი ადამიანი ეკლესიაში ჰპოვებდა როგორც სულიერ შვებას, ისე ცხოვრების მთავარ მიზანს. „ჩვენი ისტორიის ფურცლებზე ძნელად თუ შეხვდება ადამიანი ისეთ ადგილს, სადაც კი სამშობლოს განსაცდელის ჟამს მოძღვარი ჯვრით ხელში არ მოვლინებოდა მხედრობას და ამ უკანასკნელს თავისი სისოცხლე მტლედ არ დაედო სამშობლოსათვის“ (იქვე).

ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებით ქართულმა ეკლესიამ დაჰკარგა ეროვნული სახე და იგი გადაიქცა რუსეთის სინოდის და ადგილობრივი ადმინისტრაციის დანამატად.

ავტოკეფალური უფლების მოსპობით ყოფნა-არყოფნის კარიბჭესთან მივიდა ქართული სამღვდელოება. რუსეთის მთავრობამ ესეც არ იკმარა და ქართულ ეკლესიას ჩამოართვა არამარტო უფლება-მოვალეობანი, არამედ – ე.წ. უძრავ-მოძრავი ქონებაც: –ქართლ-კახეთის ეპარქიაში, 1853 წლის აღწერილობით, ჩამოერთვა 8.487 საეკლესიო და სამონასტრო კომლი (გლეხკაცობა).

ამ მოვლენის ნათელსაყოფად, როგორც ეკლესიის მსახურთათვის, ისე ფართო საზოგადოებრიობისათვის მოგვაქვს ამავე გაზეთში გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები.

თბილისში და მის მიდამოებში ქართულ ეკლესიას ჩამოერთვა და რუსეთის სახელმწიფოს გადაეცა, თბილისში:

– გოგირდის აბანო, რომელსაც დღეს ირაკლისეულს უწოდებენ. (მთავრობის მითითებით, ამ ცოტა ხნის წინ, აბანოებზე აღუმართავთ მუსლიმანური სიმბოლო მთვარე, –ვ.გ.).

400 დღიურამდე მიწა სხვადასხვა ადგილას: კუკიაში, კრწანისში, ნავთლუღში, სოლოლაკში, მთაწმინდის ქვემოდ და ძველ ტამოჟნაზე. ამის გარდა სასახლე ადგილები 36 დღიურამდე ვერაზე, ორთაჭალაში და სოლოლაკში; 13 ბაღი 10 დღიურამდე, კრწანისში ერთი ქვის მაღარო, 11 სახლი, 28 დუქანი და ერთიც სამღებრო. ფსავის მიდამოებში კათოლიკეთა ბაღის ქვემოთ ერთი სათევზაო ადგილი.

*თბილისის გუბერნიაში:*

160.000 დღიური სათესი ეკლესიის მამული, რომელსაც გლეხები ამუშავებდნენ; სათიბი და საძოვრ ადგილები 80.000 დღიური; ტყე 46.000 დღიური, სულ ერთად 436.000 დღიური.

ამათში სახნავი 22.000 დღიური, სათიბი და საძოვრსო 18.000 დღიური, კარმიდამო და ბაღები 4.400 დღიური, სასახლე ადგილი 800 დღიური, ტყე – 76800 დღიური, სვენეთში და ბოდბეში ორი საგაჯე ადგილი, ოთხი საკირე: მამკოდაში, კავთისხევში, წინარეხში, ძეგვში და ერთი კრამიტის ქარხანა მცხეთაში, ერთი ჩალის ადგილი სოფ.ოლიძეში (თელავის მაზრა), 25 დღიური მიწა, 13 წისქვილი, 13 დუქანი, 5 სახლი და 9 სამღებრო.

ყველა ეს 122.000 დღიურს შეადგენს.

ორი სათევზაო ადგილი: ერთი მდინარე ალაზანზე, სოფ. ბაქტრიონიდამ იმ ადგილამდე, სადაც ალაზანს მდინარე სტორი ერთვის, ერთიც სოფ. ტახტრევანში.

*იმერეთის ეპარქიაში:*

1859 წლის აღწერილობით გლეხები 5021 კომლს შეადგენენ, ამათში მხოლოდ 315 კომლი საეკლესიო მამულით არ სარგებლობდა. საეკლესიო მამული, რომელიც გლეხებს ეჭირათ, 27.000 დღიურს შეადგენდა, ტყე 18.750 დღიური. სადაც არ მოსახლეობდნენ და სახნავს, საბალახეს, ბაღებს და სასახლე ადგილს 11.200 დღიური, ტყე 24.000 დღიური.

*გურიის ეპარქიაში:*

1865 წლის აღწერილობით გლეხები 639 კომლს შეადგენდნენ. გლეხები ამუშავებდნენ 600 დღიურს, ჰქონდათ 102 დღიური ტყე, ბაღები 3.428 დღიური.

როგორც ვხედავთ, ივერიის ეკლესიას მოუსპეს თუ არა ავტოკეფალური უფლებები, მაშინვე ჩამოართვეს მას კეთილსინდისიერად შეძენილი ქონება. ამოდენა სიმდიდრის მქონე ივერიის ეკლესია,დღეს უნუგეშოდ არის დატოვებული. პროფესორი ალ.ცაგარელი თავის წიგნში ერთ ადგილას სამართლიანად გამოსთქვამდა აღშფოთებას იმის შესახებ, რომ რუსეთის ერთმორწმუნე მთავრობამ შეურაცხყო ქართველი ერის გრძნობა, როდესაც იგი ქართული ეკლესიის ქონებას შეეხო და დაეპატრონა.

ეს მით უფრო გასაოცარიაო, დასძენს პროფ. ცაგარელი, რომ ქართული ეკლესიის ქონება თვით არაბების, მონგოლების, ოსმალთა და სხვათა მფლობელობის დროსაც კი ხელუხლებელი იყოო.

დღეს, როდესაც ივერიის ეკლესიის საკითხი მკაფიოდ არის დაყენებული და გადაჭრას მოითხოვს, ჩვენ, ივერიის ეკლესიის ისტორიულ უფლებების აღდგენასთან ერთად, მისი ისტორიული ქონებრივი უფლებანი არ უნდა დავივიწყოთო, – კანონიერი უფლებების დაბრუნება უქონებოდ უბრალო ჩონჩხს დაემსგავსებაო.

უფლება და ქონება! – აი, რა დედააზრი უნდა ასულდგმულებდეთ იმათ, ვინც დღეს ივერიის ავტოკეფალურ უფლებებზე ზრუნავს.

ამ წერილის გამოქვეყნებიდან განვლო 80-მა წელმა. არც იმდროინდელი და არც შემდგომი დროის რუსეთს არ დაუბრუნებია ქართული ეკლესიისათვის მისი კუთვნილი ქონება...

დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, შენიღბული სახით კვლავ ბობოქრობს ათეიზმი. მოსახლეობა მოწყვეტილია სარწმუნოებას. საყოველთაო სიცრუემ ხალხს დაუკარგა რწმენა და სიყვარული. ჩვენი ვალია ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე მივხედოთ ეკლესიას, მივხედოთ საქრისტიანოს, მივხედოთ საქართველოს. ავამოქმედოთ საბჭოთა პერიოდში დადუმებული სამლოცველოები. დავუბრუნოთ ხალხს ხვალინდელი დღის იმედი. ნუ მოვცლით, რომ ამ საქმით დაინტერესდება მთავრობა, პარლამენტი, პრეზიდენტი. მათ არ სცალიათ ეკლესიისათვის!

ვახტანგ გურგენიძე
თებერვალი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ოთხოთახიანი ჩეხური პროექტის კეთილმოწყობილი და გარემონტებული ბინა დიდუბეში, ეკლესიასთან, 9 სართულიანი კორპუსის მე-8 სართულზე, გარაჟით და გარემონტებული სარდაფით, ავტონომიური სიგნალიზაციით, ელკვების ორი წყაროთი. ყიდის უშუალოდ ბინის პატრონი. შესაძლებელია გაცვლაც დიდუბეში 2 ოთახიან ბინაზე. დარეკეთ 96-86-17

იყიდება 2 ოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა 5 სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე, სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, რკინის კარებით და გისოსებით დიღმის მასივის მე-5 კვარტალში. ტელ. 51-54-61 დალი ან გურამი

ვყიდი შელავათიან ფასში ან ვცვლი ორ ან ერთოთახიან ბინაზე, (მასივებს გარდა) სამოთახიან პრივატიზებულ ბინას მიშენებით, გარაჟით, სარდაფით, ტელეფონით, კაპიტალურად ახალგარემონტებულს, ხუთსართულიანი წითელი აგურით ნაშენები სახლის პირველ მაღალ სართულზე ღრმაღელის მეტროსთან. საწყისი ფასი 19.000 დოლარი ტელ. 61-00-17 ვახტანგი

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის III მ/რ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 31-86-54 ნათელა

იყიდება 4 ოთახიანი ბინა II სართულზე. ტელეფონით. ნორიოს ალმართი 9. დამწვრობის საავადმყოფოს უკან. ფასი 12000 დოლარი ტელ. 96-98-47

იყიდება აგარაკი მუხათწყაროში, 2 სართულიანი კაპიტალური სახლი მანსარდით და ბუხრით, ყველანაირი სათავსოთი, 5 ტონიანი ავზით, 700 კვმ ნაკვეთით. მსხმოიარე ხეხილით და ტალავერით. შემოღობილია კაპიტალურად. საწყისი ფასი 10000 ლარი ტელ. 30-31-13 ნანა.

იყიდება ვარკეთილ 3-ის III მკნ-ში 2 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა 9 სართულიანი სახლის II-რე სართულზე. რკინის კარებით, სარდაფით. ბინა სარემონტოა. ფასი 6200$ ტელ. 99-96-61; 96-18-85

იყიდება 2 ოთახიანი გარემონტებული. მაღალჭერიანი ბინა მეტრო „წერეთლის“ პირდაპირ იტალიურ ეზოში II სართულზე. საწყისი ფასი 14000$ ტელ. 96-69-75 გოჩა

იყიდება ერთოთახიანი ბინა (თემქის დასახლება IV მკ-ნი III კორპ. ბ.42) ექსპერიმენტალური სახლის მე-7 სართულზე რკინის კარებით, ბუნებრივი აირით. ფასი 5000$ ტელ. 22-17-27; 63-04-94 ნუნუ. ნათია.

იყიდება ერთოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას VI კვ-ში 38 კორპ. ფასი 6500$ ტელ. 30-06-08 რამიშვილი

იყიდება 4 ოთახიანი არასტანდარტული სუფთა ბინა აგურის ოთხსართულიანი კორპუსის II სართულზე, ჭერის სიმაღლე - 3.10. ტელეფონით, 2 ტუალეტით, 2 აივნით, სარდაფით, სამზარეულო, სააბაზანო და ტუალეტი კაფელში. მისამართი: ჩოლოყაშვილის 57, III კორპ. ტელ. 74-26-24 თამაზი

იყიდება ან იცვლება ავტომობილზე ნაკვეთი ბეთანიაში 600 კვმ შეიძლება გადარიცხვით. ტელ. 34-65-62 ზაური. ფასი შეთანხმებით.

იყიდება კეთილმოწყობილი 3 ოთახიანი ბინა დიღმის მასივში. ტელეფონით, სარდაფით. მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 22000$ ტელ. 51-42-33; 93-26-90 (გია)

ვყიდი ხუთოთახიან, ორსართულიან სახლს სათავსოებით და პატარა ეზოთი ფასი შეთანხმებით მის: ავჭალა, სკოლის ქუჩა №5 იკითხეთ ციალა.

## სხვადასხვა

ვარ კარგი დიასახლისი. შემიძლია ოჯახში სადილებისა და საოჯახო საქმეების გაკეთება. დარეკეთ 93-85-18

იყიდება რუმინული ვიტრინა. ფასი 130 ლარი. ტელ.72-40-57

იყიდება ახალი არაბული წარმოების სამეული (დივანი არ იშლება, 2 სავარძელი). ხის ჩუქურთმებით, მუქ ფერებში. მისაღებისთვის. ფასი 1000$ ტელ. 61-25-48; 61-11-39

იყიდება კოსმეტიკური ფილები. თითოეულის ფასი 20 ლარი. ტელ. 72-40-57

იყიდება წითელი ჩეხური ახალი ელექტროგიტარა „იოლანა“ ფასი 130 ლარი. ტელ. 72-40-57

ვარ მბეჭდავ-მემანქანე. ვბეჭდავ ბრმად ქართულად. მაქვს საკუთარი საბეჭდი მანქანატელ. 62-29-49 მანანა ბერძენიშვილი

შევასწავლი TOEFL და GMAT-ის განახლებული 1996 წლის პროგრამით. ტელ. 36-33-03 (5 სთ-ის შემდეგ)

იყიდება არაბული გასაშლელი სამეული 2000$, აგრეთვე ირანული ტახტი ოთხი სავარძლით 1500$. ტელ. 96-69-75 ნუკრი

ძვირფასო მამაკაცებო: ახლოვდება 8 მარტი. ვისაც სურს თავის რჩეულს ნამდვილ დღესასწაულად უქციოს ეს დღე. შემიძლია დავეხმარო ფრანგული პარფიუმერიის შერჩევაში. ტელ. 78-63-68 ლალი

იყიდება გერმანული საკერავი მანქანა „ვერიტაზი“ 100 ლარად და მანქანა „პოდოლსკი“ 60 ლარად. ტელ. 37-30-22 თამარა

იყიდება გერმანული მარკის როიალი კარგ მდგომარეობაში და წითელი ხის ანტიკვარული ვიტრინა. ფასი: 15000$ ტელ. 38-01-11 იკითხეთ ნიკო

ვარემონტებ, ვხატავ ბინებს. კვადრატული მეტრი - 3 ლარი. აგრეთვე ვხატავ ადამიანის პორტრეტს. ფასი 3 ლარი. ტელ. 29-29-52 იკითხეთ გოჩა

იყიდება იაპონური სადილის სერვიზი 24 კაცზე. სადილის სერვიზი „მადონა“ 6 კაცზე, უხმარი. კობალტის ჩაის სერვიზი 6 კაცზე. პიანინო „ვენბახი“; საკერავი მანქანა „მინერვა“; იტალიური უნიტაზი. ტელ. 34-74-06 11დან -15 სთ-მდე ვერიკო

იყიდება სამი ცალი 18 ტონიანი ემალირებული ავზები, ერთი ცალის ფასი 100 $ აგრეთვე შესადუღებელი აპარატი (საკი) მაზის ძრავით. ფასი 1400$ ტელ. 30-47-09

## ქირავდება

ქირავდება 5 ოთახიანი ახალგარემონტებული ბინა საუკეთესო ავეჯით. V სართულზე. ხილიანის ქუჩაზე. ტელ. 38-01-11 ფასი 800$ თვეში.

## ავტომანქანა

იყიდება თეთრი ფერის BMW-316 ორკარიანი, 1984 წლის გამოშვება, ლუქით. საწყისი ფასი 3000$. ტელ.96-69-75 თამაზი

შევისყიდი ავტომანქანა BMW-525-ის კაპოტს, რადიატორს, წინა ქვედა პანელს, წინა შიტოკს. ტელ. 93-37-86 მერაბი 11-დან 17 სთ-მდე.

## მილოცვა

ბაცაკ ბებო! გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი.

თამრიკო და გუგა ებანოიძეები

ვულოცავთ მარიამ აბესაძეს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბებიას და ბაბუას გულის გახარებას! და ნინო, დეიდაშვილები სალომე და გვანცა.

---

სამი წელი სრულდება რაც მუხთალმა ავადმყოფობამ შენი თავი ხელიდან გამოგვაცალა, შეილო! არადა, სულ რაღაც 9 წლის იყავი გიორგი! გვენატრები, გიხსენებთ, ვლოცულობთ.. ალბათ, ესეც შენი ბედისწერა ყოფილა.

ლია და ილია მინდიაშვილები

---


ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89



ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41


## რა, როდის და რომელ არხზე

### 3 მარტი, ორშაბათი

**1** 8.00 „ალიონი“-დედის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო პროგრამა. 18.00 „მოამბე“. ორშაბათი მძიმე დღეა. ექიმის მოსვლამდე. 50/50. რამპა. 20.00 „მოამბე“. „ვიდეოპატრული 02“. 20.45 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. პროგრამა „დღე“. 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი“ (რუსულ ენაზე). ქართული მხატვრული ფილმი „მზე შემოდგომისა“. პროგრამის დასასრულს - ქვიშის საათი.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“. 19.20 მულტფილმები. სიყვარულის ისტორია; 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“. 22.10 ამერიკული მხატვრული ფილმი „რობინ ჰუდი“ (მთ.როლში მელ ბრუქსი). პროგრამის დასასრულს - მუსიკალური გადაცემა.

**ОРТ** 17.00, 20.00, 1.30 ნოვოსტი. 17.20 მულტსერიალი. 17.45 მარათონი-15. 18.05 ვარსკვლავთსაათი.18.40 „ნიკო და მისი მეგობრები“. 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.15 „გოგონა, სახელად ბედი“. 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 გამოიცან მელოდია. 22.00 ვ.პოზნერის პროგრამა. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია.23.40, 3.40 გადაცემათა პროგრამა. 23.45 ტელესერიალი „პოლტერგეისტი“. 00.45 ელდარ რიაზანოვის პარიზული საიდუმლოებანი. 1.40 მხატვრული ფილმი „მშობლიური სისხლი“. 3.15 პრეს-ექსპრესი.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20, 11.20, 12.55, 13.15 პროდუქცია - ფოსტით. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო“. 10.55 ძვირფასო რედაქციავ... 11.30 კარაოკე რუსულად.12.05 „სანტა-ბარბარა“. 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05 ფოლკლორის ფესტივალი. 14.20 ცხოველთა სამყაროში. 14.50 პალიხა, 14. 14.55 ავტოგრაფი. 15.00 სრულიად არასაიდუმლოდ. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მხატვრული ფილმი„მთიელი“. 17.55 კულტურის ბაღი. 18.25 ოჯახის ექიმი; 18.30 ნოუ-ჰაუ. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს.20.40 ტელესერიალი „ხენდრო“. 21.10 ორმაგი პორტრეტი. 21.40 გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 22.35 მულტფილმი. 23.05 „სანტა-ბარბარა“. 00.05 ხვალის ამინდი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 ტელელატარია.1.45 მორიგე ნაწილი. 2.00 მხატვრული ფილმი „შავი კვადრატი“.

### 4 მარტი, სამშაბათი

**1** 8.00 „ალიონი“. 18.00 „მოამბე“. „მესაკუთრე“. XXI. 20.00 „მოამბე“. „ვიდეოპატრული 02“. „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. ლატარია „მეათე“. პროგრამა „დღე“. 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი“ (რუსულ ენაზე). TBC სტუდია გთავაზობთ. 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“. 19.20 მულტფილმები. სპორტული გადაცემა, ელიტარული ქრონიკა. „ინტერვიუ“. 22.00 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“. 22.30 ინგლისური მხატვრული ფილმი „კუზიანი ნოტრდამიდან“ (მთ.როლში ჩარლზ ლოუტონი). პროგრამის დასასრულს - მუსიკა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.40 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი“.12.40 ვ.პოზნერის პროგრამა. 13.30 გამოიცან მელოდია. 14.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. 15.30 პოლე ჩუდეს. 16.25 ადამიანი და კანონი. 16.55, 23.40, 2.40 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 კვარიეტე „მხიარული კამპანია“. 17.55 მულტიტროლია. 18.10 ჯადოსნური სამყარო, ანუ სინემა. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები“. 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.15 „გოგონა, სახელად ბედი“. 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 გამოიცან მელოდია. 22.00 რათა გვახსოვდეს... 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „შინაური უცხოებთან და უცხო შინაურებთან“. 1.50 საესტრადო პროგრამა. 2.30 პრეს-ექსპრესი. 2.45 ტელესერიალი „კრეკერის მეთოდი“.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20, 11.20, 12.55, 13.15 3.05 პროდუქცია - ფოსტით. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო“. 10.55 ძვირფასო რედაქციავ... 11.30 ანშლაგი წარმოგიდგენთ. 12.05 „სანტა-ბარბარა“. 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05 ფოლკლორის ფესტივალი. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი„ინჟინერ გარინის კრახი“. 17.35 წყნარი სახლი. 18.15 რეპორტაჟი არაფერზე. 18.25 მანეჟი. 18.30 თქვენი უფლება. 19.55 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო“. 21.10 ჭეშმარიტების მომენტი. 21.40 გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 22.35 ანშლაგი წარმოგიდგენთ. 23.10 „სანტა-ბარბარა“. 00.05 ხვალის ამინდი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 დიმიტრი შოსტაკოვიჩის წელიწადი და საუკუნე. 2.10 ფიცხი ათეული. 3.15 ტელემაღაზია.

### 5 მარტი, ოთხშაბათი

**1** 8.00 „ალიონი“. 18.00 „მოამბე“. „მამული“ გთავაზობთ. 50/50.20.00 „მოამბე“. „ვიდეოპატრული 02“. 20.45 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“. პროგრამა „დღე“. 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა“ (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი“ (რუსულ ენაზე). „პანორამა“. პროგრამის დასასრულს - ქვიშის საათი.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“. 19.20 მულტფილმები. სიყვარულის ისტორია. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“. 22.10 ქართული მხატვრული ფილმი „ძახილი პელაგონში“ (რეჟ.ბიძინა ჩხეიძე). პროგრამის დასასრულს - მუსიკალური გადაცემა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.45 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი“. 12.00 რათა გვახსოვდეს... 13.30 გამოიცან მელოდია. 14.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. 15.30 ისტორიის ბორბალი. 16.10 კულტურა და ინტელიგენტურობა. 16.55, 23.40, 2.10 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 კაქტუსი და K. 17.55 დო-მი-სოლ. 18.10 ჯუნგლის ძახილი. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები“. 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.15 „გოგონა, სახელად ბედი“. 21.05 ამინდი. 21.10 პიკის საათი. 21.35 გამოიცან მელოდია. 22.05 თემა. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მუსიკალური კომედია „წვიმაში მომღერლები“. 2.00 პრეს-ექსპრესი. 2.15 ტელესერიალი „კრეკერის მეთოდი“. 3.05 დიდი ჰიტები.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20, 11.20, 12.55, 13.15 3.20 პროდუქცია - ფოსტით. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო“. 10.55 ძვირფასო რედაქციავ... 11.30 გოროდოკი. 12.05 „სანტა-ბარბარა“. 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05 ფოლკლორის ფესტივალი. 14.20 ჭეშმარიტების მომენტი 14.50 ექსპოვესტნიკი. 14.55 ავტოგრაფი. 15.00 „K-2“ წარმოგიდგენთ 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერ გარინის კრახი“. 17.30 ჩემი მოგონებების თეატრი. 18.00 ანიმათეკა. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 ცხოვრების წესი. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო“. 21.10 ახალი მეხუთე ბორბალი. 21.40 გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 22.35 გოროდოკი. 23.10 „სანტა-ბარბარა“. 00.05 ამინდი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 ვინ ვართ ჩვენ? 2.10 მუსიკალური პროგრამა. 3.15 ტელემაღაზია.

## სპრინტ-ლატარია „სიურპრიზ — მეორე არხის“ მეორე ტირაჟის ოთხივე ტური

II არხის პირდაპირი ეთერით გათამაშდა II ტირაჟის ოთხივე ტური და ყველა მომგებიანი სერია და ნომერი გამოვლენილია. ასე რომ, ის ბილეთები, რომლებიც გაყიდვაშია, თამაშობს როგორც სპრინტი. თუ თქვენ შეგხვდათ სპრინტის არმომგებიანი ბილეთი, ის თამაშობს, როგორც ლატარეა და მისი იღბლიანობა შეგიძლიათ ყიდვის ადგილზევე შეამოწმოთ ცხრილში. გისურვებთ წარმატებას, ჯერ კიდევ 8463 მომგებიანი ბილეთი არ გაყიდულა. სხვათაშორის, ერთ-ერთი მათგანი იგებს ავტომობილ BMW-ს.

## „ინ ვინო ვერიტას“ — სვას „ტამპიკო“, ვინც ღვინოს იტანს, — მანაც სვას „ტამპიკო“!

სამწუხაროა, მაგრამ რეალურ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულ ავადმყოფობათა სიაში „წამლისგან შეძენილ ავადმყოფობას“ მეოთხე პოზიცია უკავია გავრცელების სიხშირის მიხედვით (გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური და ტრავმული დაავადებების შემდეგ). ათასგვარი ქიმიური ნაერთებითა და შლაკებით დაბინძურებული, დასუსტებული ორგანიზმი ვეღარ უმკლავდება გარედან შემოჭრილ ინფექციებს. გამოსავალს ექიმები სრულფასოვან რაციონალურ კვებაში და ნატურალური სასმელების გამოყენებაში ხედავენ. რესპუბლიკის ბაზრებზე მრავლად შეხვდებით სიმპატიურ პაკეტებში ჩამოსხმულ უცხოური წარმოების წვენებს, რომელთა ფასი 2-დან 3 ლარამდე მერყეობს. პროგრამა თითქოსდა გადაჭრილია — შეიძინეთ ბატონებო და მიირთვით, მაგრამ... ჯერ ერთი, რომ მათი ხარისხისა და შემადგენლობის შესახებ პასუხს გამყიდველის მეტი ვერავინ გაგვცემს (შემოსული წვენების უმრავლესობა ეკოლოგიური სისუფთავის ევროპული დამღის გარეშე გახლავთ წარმოდგენილი) და ხშირად ვადაგასულია, ხოლო როგორ მუშაობენ რესპუბლიკაში იმპორტის ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოები, მკითხველს უკვე მოეხსენება. და მეორე, 2-3 ლარის მიცემა დღევანდელი შემოსავლის პირობებში მოსახლეობის უმრავლესობისათვის ფუფუნებას წარმოადგენს.

რესპუბლიკის ბაზრებზე არსებულ ნატურალურ წვენთა შორის ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ „ტამპიკო“ წარმოადგენს. მისი ღირებულება ერთი ლარის ფარგლებში მერყეობს. ახლა, რაც შეეხება ხარისხს. სასმელი „ტამპიკო“ წარმოშობის მიხედვით ამერიკული ფირმა „MARBO.INC“-ის პროდუქცია გახლავთ. სავაჭრო მარკა „ტამპიკო“ რეგისტრირებულია ევროპის, ამერიკისა და აზიის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, ყოფილ საბჭოთა კავშირში. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე „ტამპიკოს“ აწარმოებენ მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, უფაში, პერმში, მინსკში, ალმა-ათაში, თბილისში და სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში. მისი მასობრივი წარმოების დაწყებამდე წინ უსწრებდა სრულფასოვანი სანიტარულ-ჰიგიენური, სამედიცინო-ბიოლოგიური და კლინიკური გამოკვლევები, რომლებიც სამედიცინო მეცნიერებათა რუსეთის აკადემიის კვებისა და



პროფილაქტიკური ტოქსიკოლოგიის და დეზინფექციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა. მიღებული შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ „ტამპიკო“ წარმოადგენს ორგანიზმის დამცავ ძლიერ საშუალებას:

- სტრესული დატვირთვებისაგან;
- სეზონური და სხვა სახის ტემპერატურული ცვლილებებისაგან;
- ეპიდემიური ინფექციებისაგან;
- საწარმოო ფაქტორების მავნე ზემოქმედებისაგან;
- გაზრდილი რადიაციული ფონისაგან.

კომპეტენტური სამედიცინო ორგანიზაციების აზრით „ტამპიკო“ სასარგებლოა:

- იმ პირთათვის, ვინც ეკოლოგიურად დაბინძურებულ რაიონებში ცხოვრობს, მათ შორის, რადიაციულად.
- მავნე წარმოების მუშაკთათვის, მათ შორის, ქიმიური, სამთო, ნავთობმომპოვებელი, მეტალურგიული;
- სპორტსმენთათვის;
- დიაბეტიკებისათვის!
- ბავშვთა კვებისათვის!
- ინფექციურ და სურდოვან ავადმყოფობათაგან დასუსტებულ პირთათვის.

„ტამპიკო“ იყიდება ლიტრიანი ქაღალდის პაკეტებით. მის წარმოებას საქართველოში 1996 წელს ჩაეყარა საფუძველი ამერიკულ ფირმასთან ერთობლივად მ.თოფურიძის ინიციატივით. მ.თოფურიძე იმ კატეგორიის მეწარმეთა სახეს განეკუთვნება, რომლებიც იმპორტ-ექსპორტში კი არა, წარმოების აღორძინება-დაფუძნებაში ხედავენ საქართველოს ეკონომიკის მომავალს. დიდუბის რძის კომბინატის 40 კაციანი კოლექტივი, რომელიც დღეს ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის ნარევ ნატურალურ წვენ „ტამპიკოს“ აწარმოებს. თვალნათლივ ჩანს წარმოების დადებითი მხარეები: ფასი, ხარისხი და ის, რომ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი საქართველოში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ბიუჯეტის გამდიდრებას ხმარდება.




ყოფილ რეგბისტს, მურიკო თოფურიძეს, ახლა პატიოსან ბიზნესში მოუსინჯავს ძალა. ღმერთმა გამარჯვება მისცეს, ვინაიდან ეს „ტამპიკო“ ერთობ სასიამოვნო დასალევია და უფრო სასიამოვნო ის არის, იგი აქვე, თბილისში რომ მზადდება და გამოტანილ უცხოურ წვენებზე ერთი თავით მაღლა დგას.

მალე ფრთიანი გამოთქმა — თუ სმა არ შეგიძლია, რძე უნდა სვაო, შეიცვლება ფორმულით — ვინც ღვინოს ვერ იტანს, სვას „ტამპიკო“. ვინც ღვინოს იტანს, იმანაც სვას „ტამპიკო“.

კობა ძიძნაძე

## კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შვეულად:** 1. პალმა, რომელიც ისხამს მსხვილ გემრიელ ნაყოფს; 2. ამერიკის შტატი; 3. ბიდონი ანუ... 4. ადრინდელი ქრისტიანობის მიმდინარეობა, რომლის მიმდევრებიც მოითხოვდნენ იუდაიზმის ზოგი ელემენტების შენარჩუნებას; 5. მსხვილი ნაწლავის დაავადება; 6. ფრანგი პოეტი, ავტორი „ბოროტების ყვავილებისა“; 7. გამჭვირვალე მქრალი ფაიფური; 8. რაიმე მანქანის დაზიანება; 10. სახელმწიფო აზიაში; 11. მსხვილი მახრჩობელა გველი; 13. თვე; 15. ქალაქი ევროპაში; 20. სახლის მცველი, მეომარი, ძველად; 21. ერთგვარი სირაქლემა, გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში; 22. ინგლისელი პოეტი, „ჟანა დარკის“ პოემის შემქმნელი; 23. ამერიკის პრეზიდენტი; 24. ავღანელი ტომების უხუცესთა საბჭო; 26. სანახაობითი ნაგებობა, მრგვალი შენობა, რომლის შუაში მოთავსებულია მოედანი; 27. სიმინდის შესანახი ადგილი საქ. ზოგ კუთხეში; 29. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 30. ერთგვარი სასარჩულე ქსოვილი; 33. სალვადორის ფულის ერთეული; 37. მუსულმანურ ქვეყნებში რომელიმე უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე; 39. წყლის კალაპოტი; 40. გარეული ფრინველი, ბინადრობს აღმოსავლეთ საქართველოში; 42. კავშირი, გაერთიანება, ამხანაგობა; 44. ცეცხლი... ბოლი... 46. რჩეული საზოგადოება; 47. ისრაელ-იუდეველთა სამეფოს დამაარსებელი (ძვ.წ.X ს.); 52. დასტურის ნიშანი ინგლისსა და ამერიკაში; 54. ადამიანის სიკვდილით დასასჯელი მანქანა, შემოიღეს საფრანგეთის რევოლუციის დროს; 55. რამოდენიმე ჭვემეხის ხშირი სროლა ერთდროულად; 56. შემოღობილი, დროებით საცხოვრებელი სახელდახელო ნაგებობა; 57. რაიმე საქონლის ნაკლებობა; 58. სახელმწიფო ევროპაში; 59. 20-იან წლებში ამერიკაში არყის გამყიდველი; 60. ის, რაც ქმნის ემოციურ, ამაღლებულ დამოკიდებულებას რაიმესადმი; 61. შტატი ამერიკაში; 62. თალი ანუ... 65. სოფელი კასპის რაიონში; 69. ზღვის ფსკერის წყალზედა ან წყალქვეშა ამაღლება; 74. მცენარე, რომელიც ისხამს ტკბილ ნაყოფს; 76. მანძილის საზომი ინგლისში; 79. რაიონული ცენტრი დას. საქართველოში; 81. იტყვიან ჭკვიან, ბრძენ ადამიანზე; 82. დას. საქართველოს უდიდესი მდინარე; 83. ყველაზე იაფი სიგარეტი; 84. გემის გვერდითი ნაწილი; 85. გარეული ცხოველი; 87. პოპულარული მომღერალი; 88. ძვ.ეგვიპტეში ღვთაებრივი ხარი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ; 89. რომაულ მითოლოგიაში მთვარის, სინათლისა და ნაყოფიერების ქალღმერთი; 92. გაფრთხილება ძიუდოში; 93. მუსიკის აკორდი.

**თარაზულად:** 7. ფულის ერთეული საბერძნეთში; 9. დიდი გერმანელი პოეტი, რუსთაველის თანამედროვე; 12. რუსი გამომგონებელი; 14. ისტორიული მხარე საქართველოში; 16. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მცენარეებს; 17. მიწის საზომი ჩრდილოეთ ამერიკაში; 18. მეფის წოდება ეგვიპტეში; 19. გარკვეული ფორმის მიხედვით შედგენილი გამოსაკითხავი ფურცელი; 20. ადმინისტრაციული პირი; 25. იგივეა, რაც ნიკოტინმჟავა; 28. ლატვიის ფულის ერთეული; 31. ბამბის წმინდა ქსოვილი, ტილოს მსგავსი, იყენებენ თეთრეულისათვის; 32. ცხენებით შეჯიბრება; 34. ბუნებრივი მინერალური საღებავი წითელი ან ყვითელი ფერისა; 35. ოლიმპიური ქალაქი; 36. შამპანიურის სახელწოდება; 38. ტყის ვრცელი ფართობი; 41. ერთგვარი რბილი ტყავი; 43. ქალის სახელი; 45. თიხიანი ფიქლის რბილი ჩხირი ასპიდის დაფაზე საწერად; 48. სოფელი ახალციხის რაიონში; 49. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდზე; 50. ორკესტრის ხელმძღვანელი; 51. მიწის ძველებური საზომი გერმანიასა და უნგრეთში; 53. ბალტიისპირეთის დედაქალაქი; 57. ცნობილი იტალიელი მწერალი, ავტ.ღვთაებრივი კომედიისა; 59. ოლიმპიური ქალაქი; 63. ძველი ბერძნების მუსიკალური საკრავი; 64. მინდვრის ყვავილი; 66. ხელჩართულ ბრძოლაში თავდასაცავი იარაღი; 67. მცენარე, რომელსაც აქვს მსხვილი, ტკბილი ნაყოფი; 68. ელექტრო დენის საზომი ერთეული; 70. ქართული გვარი; 71. შინაური ცხოველი; 72. ქალის სახელი; 73. რუკათა კრებული; 74. დედამიწის ქერქში გავრცელებული ბგერათა ტალღების მიმღები, რომელიც ნიადაგის რხევებს ბგერით რხევებად გარდაქმნის; 75. სპორტში დროის მონაკვეთი; 77. ინდოეთის დედაქალაქი; 78. ბოსტნეული მცენარე; 80. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 83. მაწვნის მსგავსი რძის პროდუქტი, რომელიც გავრცელებულია შუა აზიაში; 86. ერი ანუ 89. გაველურებული შინაური ძაღლი (ბინადრობს ავსტრალიაში); 90. ძეგლი, რომელიც წარმოადგენს თლილი ქვის დაკუთხვილ ზევითკენ თანდათანობით გაწვრილებულ სვეტს; 91. სასიგნალო ასაფეთქებელი ჭურვი, რომელსაც უდებენ ლიანდაგს მატარებლის გასაჩერებლად; 93. ლანგარი ანუ... 94. ქამანდი, რომლითაც იჭერენ ცხოველს ავსტრალიაში; 95. კარატეს სახეობა; 97. ფულის ერთეული ალბანეთის სახ. რესპუბლიკაში; 98. სოფელი ჯავის რაიონში.

პაატა კოღუა

### წინა კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ნინევია; 3. ფერმა; 5. თანგირა; 7. სევდა; 8. ლანჩა; 9. ნაიბი; 11. საიდან; 13. ოაზისი; 15. იგავი; 16. ისარა; 17. ძაბვა; 19. მარლა; 22. ციტატა; 23. ეკრანი; 24. მაზარა; 26. ნიჟარა; 28. იმიჯი; 29. ტაიგა; 30. ლობიო; 32. ავყია; 35. იდიოტი; 38. იარუსი; 41. იორლა; 42. ლახტი; 43. აზატი; 44. ანისული; 45. ავევჯი; 46. იმპორტი.

**შვეულად:** 1. ნიადაგი; 2. იმათი; 3. ფილთა; 4. ავაზა; 5. თანგი; 6. ალგებრა; 7. სესია; 10. იქება; 11. საითაც; 12.ნათურა; 13. ოკეანე; 14.იდიომი; 17. ძეძვი; 18. ბარჯი; 20. რამლი; 21. აგუნა; 24. მირონი; 25. ანწუხი; 26. ნიკული; 27. ატლასი; 30. ლიტანია; 31. ბარგი; 33. ყაენი; 34. ათინათი; 36. იმამი; 37. ტალღა; 39. აზიზი; 40. უბანი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444